ვერსია

№33 (1674) 6 — 12 სექტემბერი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

რა ღონისძიებებს გეგმავს საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობაში

ირაკლი ღარიბაშვილის ყოველწლიური ანგარიშის მნიშვნელოვანი დეტალები

როგორი წესით აირჩევა ახალი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილის გადაყენების შემთხვევაში

„ძიალოგი“ ეშმაკთან

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

გიორგი ფხაკაძე: „შეუძლებელი შევძელი“

რას ნიშნავს და რატომაა საერთაშორისო აკრედიტაცია სამედიცინო დაწესებულებებისთვის აუცილებელი

როგორ კეთდება ფული ტყეების გაჩეხვაში

სკანდალური სქემა და ციხეში გაშვებული 17 ადამიანი

რა ღონისძიებებს გეგმავს საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობაში

ირაკლი ღარიბაშვილის ყოველწლიური ანგარიშის მნიშვნელოვანი დეტალები

მაკა რუხაძე

რამდენიმე დღის წინ, ძლიერმა სეტყვამ და ქარიშხალმა კახეთის მუნიციპალიტეტები – თელავი, ახმეტა, ყვარელი, გურჯაანი საგრძნობლად დააზიანა. განადგურდა ვენახები, საზამთროსა და ნესვის ბაღები, თუმცა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ღვინის აბსოლუტურად ყველა სახელმწიფო კომპანია კახელი ფერმერებისა და გლეხებისგან დაზიანებულ ყურძენს აუცილებლად ჩაიბარებს. ამ ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რა ხედვა აქვს ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის განვითარების ნაწილში. „ვერსია“ აგრძელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ყოველწლიური ანგარიშის დეტალურ განხილვას, რომლითაც საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე წლის 1 ივლისს წარსდგა. ამჯერად, სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა განვიხილოთ.

სოფლის მეურნეობა

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, 2022 წელს, საქართველოდან, მსოფლიოს 96 ქვეყანაში ექსპორტირებულია რეკორდული – 1.3 მილიარდამდე აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 10.5%-ით აღემატება. მზარდია ევროკავშირში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი, რომელმაც 2022 წლის მონაცემებით, 173 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. სხვადასხვა პროექტისა და პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით, სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციის ჯამურმა მოცულობამ 6.3 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება 1.7 მილიარდ ლარს აჭარბებს, ხოლო საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით, ინვესტიციის ჯამური მოცულობა 1.01 მილიარდი ლარი იყო, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება 284 მილიონი ლარია.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში გაიცა 857 მილიონ ლარამდე ღირებულების 14 000-ზე მეტი სესხი, სადაც სახელმწიფო თანადაფინანსება 160 მილიონ ლარზე მეტია. პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, 3 000 ჰა-ზე მეტი ხეხილის ბაღი გაშენდა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მოიცავს სეტყვის საწინააღმდეგო, წვეთოვანი სისტემებისა და ჭის ჭაბურღილის/სატუმბი სადგურის მოწყობასაც.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ეგიდით, საანგარიშო პერიოდში, 44 ხელშეკრულება გაფორმდა, ხოლო ინვესტიციის ოდენობა 57 მილიონ ლარს აჭარბებს. 2022 წელს, ევროკავშირის მხარდაჭერით, დაიწყო რეგიონების ინტეგრირებული განვითარების საპილოტე პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ახალი საწარმოს შექმნის ან უკვე არსებული საწარმოს გაფართოება-გადაიარაღების თანადაფინანსებას. ამჟამად დაფინანსებულია 45 ბენეფიციარი – 30 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიციით, სადაც სახელმწიფოს თანამონაწილეობა 17 მილიონ ლარზე მეტია. პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, ხელშეკრულება გაფორმდა 16 ბენეფიციართან“, – ვკითხულობთ პრემიერის ანგარიშში.

საქართველოს მთავრობა კვლავ აგრძელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობას. 2023 წელს, სპეციალურად კოოპერატივებისათვის, ამოქმედდა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა“ – სახელმწიფოს მხრიდან, ღირებულების 50%-იანი საგრანტო დაფინანსებით, რისთვისაც გამოიყო 10 მილიონი ლარი. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სპეციალური პროგრამებით, ჯამში ისარგებლა 26-მა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა, ინვესტიციამ გადააჭარბა 7 მლნ ლარს, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება, დაახლოებით, 5 მილიონი ლარი იყო. კოოპერატივებმა ისარგებლეს შემნახველი საწარმოების, მეფუტკრეობის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებით.

„გრძელდება აგროდაზღვევის პროგრამის, როგორც ფერმერთა შემოსავლების დაცვის ინსტრუმენტის, განხორციელება. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მევენახე ფერმერები 50%-ის ნაცვლად, 70%-იანი თანადაფინანსებით ისარგებლებენ. პროგრამის ფარგლებში, ჯამში, 4 ათასზე მეტი სადაზღვევო პოლისი გაიცა“.

2022 წელს ასევე დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მისაღებად საჭიროა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, 0.25-იდან 1.25 ჰექტარის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სუბსიდიის მოცულობა ერთ ჰექტარ მიწაზე განსაზღვრულია 300 ლარით – აგრობარათზე დარიცხული 300 ქულით. ქულების გამოყენება შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესაძენად, სპეციალიზებულ მაღაზიებში. პროგრამის ფარგლებში, 300 000-მდე ბენეფიციარმა მიიღო 35 მილიონ ლარზე მეტი სარგებელი.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, თხილის პირველადი წარმოების სტიმულირების მიზნით, 2022 წლის ნოემბერში დაიწყო „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა“. ყველა ფიზიკური პირი, რომელსაც 0.2-3 ჰექტრამდე ფართობი აქვს საკუთრებაში ან სარგებლობაში, ერთ ჰექტარზე, 500-ლარიან დახმარებას იღებს. მთელი ქვეყნის მასშტაბით, 90 ათასამდე ბენეფიციარის 45 000 ჰექტარზე მეტი თხილის ბაღი დარეგისტრირდა თხილის კადასტრში.

„აქტიურად მიმდინარეობდა ქართული ღვინის მარკეტინგული ღონისძიებები ამერიკის შეერთებული შტატებში, დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში, გერმანიაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ჩინეთში, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში. ამავე ქვეყნებში ჩატარდა დეგუსტაცია-სემინარები, მოეწყო ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლების ვიზიტები საქართველოში, კონკურსები, ფესტივალები, განხორციელდა სატელევიზო და რადიო-რეკლამირება, სოციალური მედიის აქტივობები. ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიაში ჩაერთო აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საგენტოს – USAID სოფლის მეურნეობის პროგრამა, რომელიც მიზნობრივ ღონისძიებებს განხორციელებს აშშ-ში, სამხრეთ კორეაში, გერმანიასა და დიდი ბრიტანეთში. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, ღვინის წარმოების მიმართულებით ისტორიული შედეგები დაფიქსირდა. საქართველოდან მსოფლიოს 66 ქვეყანაში ექსპორტირებულ იქნა 103 მილიონ ლიტრამდე ღვინო, რაც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია“.

რაც მთავარია, გრძელდება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, ფიტოსანიტარიისა და გარემოს დაცვის სფეროების ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გეგმით გათვალისწინებულ, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება. საანგარიშო პერიოდში, მიღებულ იქნა 17 საკანონმდებლო აქტი სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებით. გარემოს დაცვის 10 სტანდარტი კი თვისობრივად დაუახლოვდა ევროპულ მოთხოვნებს.

გარემოს დაცვა

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, 2022 წელს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა“, რომელიც გარემოს დაცვის სფეროში, ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტს წარმოადგენს და ხუთი წლის მანძილზე, მიზნად ისახავს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი პრინციპების განხორციელების ხელშეწყობას.

„2022 წლის 1 ივლისს, ამოქმედდა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი და ჩამოყალიბდა ევროპული დირექტივის შესაბამისი, სრულიად ახალი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სამართლებრივი სისტემა. გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიმყენებელი პირი ვალდებულია, დაზიანებული ტერიტორია აღადგინოს ზიანის მიყენებამდე არსებულ მდგომარეობაში (ნაცვლად, მიყენებული ზიანის მონეტარული ანაზღაურებისა). ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების მიმართულებით, 2022 წელს, დასრულდა ქალაქ რუსთავის ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის განხორციელება, რომლის აქტივობებიც შესრულებულია 85%-ზე მეტით, რის შედეგადაც შემცირდა ქალაქში მყარი ნივთიერებებით დაბინძურების დონე. თუმცა, ადგილზე პრობლემები ჯერ ისევ რჩება, ამიტომ ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, ასევე ქართველი და ევროპელი ექსპერტების ჩართულობით, შემუშავდა ჰაერის ხარისხის მართვის ახალი სამოქმედო გეგმის პროექტი და მიმდინარეობს მისი განხილვები. ევროკავშირის მხარდაჭერით, დაწყებულია ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის შემუშავება თბილისისთვის“.

საქართველოში, ავტომობილების პარკის გაახალგაზრდავებისა და გაჯანსაღების მიზნით, მომზადდა ტექნიკური

დასასრული მე-3 გვერდზე

„ДИАЛОГИ“ ЭШМАКЗТАН

სალომე ზურაბიშვილის სკანდალური დოსიე

ნათია აბაშიძე

ქართულ პოლიტიკაში მის გამოჩენას არც მეტეორის ჩამოვარდნის ეფექტი ჰქონია და არც – ცუნამის, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ხანმოკლე აჟიოტაჟი მაინც გამოიწვია, რაც მისი პერსონით კი არა, უფრო სტატუსით იყო გამოწვეული ანუ მანამდე, მსოფლიო პოლიტიკას არ ახსოვდა, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქე და დიპლომატი მეორე ქვეყნის საგარეო უწყების პირველი პირი გამხდარიყო. ისე, ზოგმა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ეს ახირება იმთავითვე „ქაჯობად“ მონათლა და ისიც იწინასწარმეტყველა, რომ სალომე ზურაბიშვილის ნაციონალურ მთავრობაში გამოჩენა „ვარდების რევოლუციის“ „ჩე გევარას“ ძვირი დაუჯდებოდა. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ეს პროგნოზი ახდა – გამოხდა ხანი და, საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილმა და „ფრანციცულად“ განათლებულმა სალომემ, რომელიც თავს სახელოვანი წინაპრებით იწონებდა და იწონებს (ჩვენში დარჩეს და, სხვა საამაყო, პრაქტიკულად, არაფერი აქვს), სააკაშვილი ლამის ცოცხლად დამარხა.

საერთოდ, ისინი, რომლებიც მეტ-ნაკლებად ახლოს იცნობენ, ამბობენ, რომ ზურაბიშვილი არაპროგნოზირებადია ანუ მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის იქ თხრის, სადაც უნდა გათხაროს. ასე, მაგალითად, მოუნდა პრეზიდენტობა და „გათხარა“ ანუ პრეზიდენტი გახდა. სხვათა შორის, მაშინვე ამბობდნენ, რომ როგორც კი ვითარება მოითხოვდა, ზურაიშვილი „ოცნებას“ ზურგს აქცევდა და ასეც მოხდა, ესე იგი, დღეს საქმე იქამდეა მისული, რომ მმართველმა გუნდმა პრეზიდეტის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო. გადააყენებენ თუ არა, ეს სხვა საუბრის თემაა, ამჯერად კი „ვერსია“ არქივიდან სალომე ზურაბიშვილის სკანდალურ დოსიეს გთავაზობთ.

როგორც ქართული „ვიკიპედია“ იუწყება, სალომე ზურაბიშვილი 1952 წლის 18 მარტს პარიზში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწის, წლების მანძილზე საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, ლევან ზურაბიშვილის ოჯახში დაიბადა. 1972 წელს, დაამთავრა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, 1973 წელს – კოლუმბიის უნივერსიტეტი, 1981 წელს კი – პარიზის სახელმწიფო მართვის ეროვნული სკოლა. დიპლომატიური კარიერა დაიწყო 1974 წელს, რომში (კირინალი), საფრანგეთის საელჩოს მესამე მდივანის თანამდებობით. 1977-1980 წლებში, მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (ნიუ იორკი), საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის მეორე მდივნის თანამდებობაზე. 1980-1984 წლებში, იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და პროგნოზის ცენტრის თანამშრომელი. 1984-1988 წლებში – ვაშინგტონში საფრანგეთის საელჩოს პირველი მდივანი; 1988-1989 წლებში – ვენაში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის პირველი მდივანი. ასევე, კონვენციური შეირაღების შემცირების საკითხში საფრანგეთის მომლაპარაკებელი ჯგუფის უფროსი; 1989-1992 წლებში – ნჯამენაში (ჩადი), საფრანგეთის საელჩოს მეორე მრჩეველი; 1992-1993 წლებში – ბრიუსელში, ევროატლანტიკურ საბჭოში საფრანგეთის მუდმივმოქმედი მისიის პოლიტიკური მრჩეველი; 1993-1996 წლებში – ბრიუსელში, დასავლეთ ევროპის კავშირში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; 1996-1998 წლებში – პარიზში, საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის მრჩეველი.

1997-1998 წლებში, მუშაობდა პარიზში, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციაში; 1998-2001 წლებში – პარიზში, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის საკითხთა, უშიშროებისა და განიარაღების დეპარტამენტის სტრატეგიის საკითხთა სამმართველოს უფროსად; 2001-2003 წლებში – პარიზში, ეროვნული თავდაცვის გენერალური სამდივნოს საერთაშორისო, სტრატეგიულ საკითხთა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორად.

2003-2004 წლებში, იყო საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში; 2004-2005 წლებში – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი; 2005-2006 წლებში – „სალომე ზურაბიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის“ ლიდერი; 2006-2010 წლებში – პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი; 2006-2016 წლებში – საფრანგეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორი; 2010-2015 წლებში – გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის ირანის ექსპერტთა ჯგუფის კოორდინატორი.

არაოფიციალური ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის პირველი კომუნიკაცია გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ანუ იმ დროს დამყარდა, როცა ქალბატონი ზურაბიშვილი გაერო-ში მუშაობდა. ამბობენ იმასაც, რომ პრეზიდენტობის ქალბატონი კანდიდატი, თავის დროზე, საფრანგეთის საგარეო უწყებაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებს კურირებდა, თუმცა ეს არაოფიციალური თანამდებობა იყო. თუ ამ ვერსიას გავყვებით, მაშინ გამოდის, რომ მან რუსული ენა, როგორც იტყვიან, საყველპურად მაინც უნდა იცოდეს, თუმცა როცა საქართველოს საგარეო უწყებას ჩაუდგა სათავეში და შეხვედრებს ლავროვთან მართავდა, ხაზგასმით აღნიშნა, რუსული არ „მეკერკებაო“ და ამიტომ, რუს კოლეგასთან თარჯიმნის დამხარებით ურთიერთობდა. ეს ჟესტი, შესაძლოა, დადებით შტრიხადაც ჩაითვალოს, მაგრამ მაშინვე ითქვა, რომ აქცენტის რუსულის არცოდნაზე გაკეთებით, თითქოს, ზურაბიშვილი წარსულს მალავდა ანუ არ სურდა, საზოგადების გარკვეულ ნაწილს გასჩენოდა კითხვა, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა მას რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან?

დღეს, ქალბატონი ზურაბიშვილი არათუ თავს იწონებს, არამედ, სასაცილოდაც არ ჰყოფნის, როცა რუსეთის რეზიდენტს ეძახიან. მისი და კრემლის თანამშრომლობის ოფიციალური დოკუმენტები, ცხადია, არ არსებობს, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვა, ინტერნეტში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ 1991-92 წლების თბილისის სისხლიანი მოვლენების დროს, ქალბატონი ზურაბიშვილი „პუტჩისტების“, ესე იგი, სიგუა-კიტოვან-იოსელიანის მეხოტბე იყო და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამ „ტრიოს“ უკან კი, მოგეხსენებათ, რუსეთი იდგა.

ამის შესახებ პირველი ცნობა „ქართული მარშის“ ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ გაავრცელა და სოციალურ ქსელში დაწერა:

„აი, ვის შემოტენვას ცდილობენ პრეზიდენტად: სალომე ზურაბიშვილი, ზვიად გამსახურდიას დამხობის შესახებ – „სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა წარმოადგენს გამსახურდიას დიქტატურასთან მებრძოლ და დემოკრატიის აღმდგენ ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოს. დემოკრატიისათვის ბრძოლა გულისხმობს დიქტატორისა და დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას, ამ ბრძოლაში აჯანყებაზე ლეგიტიმური და კანონიერი ფორმა კაცობრიობას ჯერ არ გამოუგონებია. ვერავინ დასწამებს ცილს სამხედრო საბჭოს, რომ მან არ შესთავაზა დიქტატორს (გამსახურდია) თავისი ნებით გადადგომა, რომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რა ღონისძიებებს გეგმავს საქართველოს მთავრობა გარემოს დაცვასა და სოფლის მეურნეობაში

მე-2 გვერდიდან

რეგლამენტის პროექტი – ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გაფრქვევების (გამონაბოლქვის) ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრულად დასაშვები ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ. ტექნიკური რეგლამენტი ითვალისწინებს საქართველოში სატრანსპორტო საშუალებებისთვის გაფრქვევების Euro-5 სტანდარტის დანერგვას.

„ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოების მიზნით, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, დაინერგა ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის, კადმიუმის, დარიშხანის, ნიკელისა და ბენზაპირენის უწყვეტი მონიტორინგი. ამ ანალიზების ჩატარებაზე გარემოს ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიამ მიიღო ISO სტანდარტის შესაბამისი აკრედიტაცია. 2022 წელს შეძენილ იქნა კიდევ ოთხი ახალი ხელსაწყო, რომლებიც მიმდინარე წელს დამონტაჟდება. ამასთან, დამონტაჟდა და გაიმართა 38 ერთეული ავტომატური მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური სადგური. აქედან 20 მეტეოროლოგიური და 18 ჰიდროლოგიური სადგური დამონტაჟდა გურიაში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთში“.

წელს, 3 აგვისტოს, შოვში დატრიალებული სტიქიური უბედურების შედეგად, საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელია ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა. სხვათა შორის, საქართველოს მთავრობა ამ მიმართულებით მუშაობს და ეს პრემიერის ანგარიშშიცაა ასახული. კერძოდ, შოვის ტრაგედიამდე ერთი თვით ადრე, 1 ივლისს, ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნის მიმართულებით, მდინარეთა 11 აუზში დასრულდა საფრთხეების რუკების მომზადებისთვის საჭირო ტოპოგრაფიულ-ჰიდრომეტრული სამუშაოები. მისივე თქმით, ამჟამად მიმდინარეობს საფრთხეების რუკების მომზადების, ამინდისა და ჰიდროლოგიური პროგნოზების დანერგვის პროცესი.

„2022 წელს, აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა დაცული ტერიტორიების გაფართოების მიმართულებით. შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები რაჭაში, შიდა ქართლსა და ზემო იმერეთში. 15 დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს 1 200 კმ-მდე სიგრძის საფეხმავლო ბილიკებისა და თანმდევი ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოსაწყობი სამუშაოები, სრულდება 3D განათების მოწყობის სამუშაოები მარტვილის კანიონისა და ოკაცეს (კინჩხის) ჩანჩქერის ტერიტორიებზე, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ამ ადგილებს ვიზიტორებისთვის. საქართველოს ეროვნულ პარკებში, ვიზიტორთა უსაფრთხო და კომფორტული მოგზაურობისთვის, შეიქმნა პირველი მობილური აპლიკაცია. წალკის კანიონზე უნიკალური ეკოტურისტული კომპლექსი გაიხსნა. 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს, ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 53%-ით – 902 010 ვიზიტორი. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, დაცული ტერიტორიების ფართობი 116.7 ათასი ჰექტარით გაიზარდა და ამჟამად შეადგენს 912 ათასზე მეტ ჰექტარს, რაც ქვეყნის ტერიტორიის, დაახლოებით, 13%-ია“.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ გრძელდება მუშაობა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მოდერნიზების კუთხით, მისი მაქსიმალურად გამჭვირვალე და მაღალი სანდოობის მქონე უწყებად ჩამოსაყალიბებლად. გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურები სრულად აღიჭურვა სამხრე კამერებით, ვიდეო-რეგისტრატორებით, საველე პლანშეტებითა და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით (დრონები, ფოტო-ხაფანგები, ციფრული კავშირგაბმულობის სისტემები და სხვა). მნიშვნელოვნად გაძლიერდა გარემოსდაცვითი ინსპექტირების მიმართულება თანამედროვე ტექნოლოგიებითა და აღჭურვილობით, რათა ინსპექტირების პროცესი გახდეს უფრო ეფექტიანი და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული. 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს, რეგულირების ობიექტების ინსპექტირების რაოდენობა გაიზარდა 70%-ით.

მე-3 გვერდიდან

უარეყო ხელისუფლების უზურპაცია და აღედგინა დემოკრატიული წყობა, მაგრამ დიქტატორმა (გამსახურდია) არ ინდომა ეს და დაიწყო სისხლიანი ანგარიშსწორება, სროლა დაიწყო, რითაც სავსებით დაადასტურა თავისი არაკანონიერება. ამის შემდეგ, ერთადერთი კანონიერი და სამართლიანი გზა რჩებოდა _ სამხედრო აჯანყების გზით დიქტატორის (გამსახურდია) დამხობა", – ჟურნალი „ივერია", 1992 წელი".

„ვერსიამ" ინტერნეტში ჟურნალ „ივერიის" შესახებ ინფორმაცია მოიძია და ინტერნეტსაიტზე – simartle.altervista.org – ვკითხულობთ:

„სალომე ზურაბიშვილისა და ჯანრი კაშიას გველურ ჟურნალში – „ივერია", მრავლადაა საქართველოს ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების მიმართ ცილისმწამებლური გამოხდომები და არაორაზროვნად ჩანს ჟურნალის რედაქტორებისა და ავტორების ანტიეროვნული და ანტიქართული ქმედება".

აქვე, მოყვანილია ზვიად გამსახურდიას მიერ, 1991 წლის 2 თებერვალს, „რადიო „თავისუფლების" ქართულ რედაქციასთან ნათქვამი ფრაზა:

„საქართველოს მტრების ხელშია, მოსისხლე მტრების ხელშია.

გესმით, კრემლის აგენტურის ხელშია. პირველ რიგში, კაშია, ლაშქარაშვილი, კლიმიაშვილი და აი, ესენი დათარეშობენ ეთერში და მსოფლიოს წამლავენ".

ამონარიდი ზემოხსენებული საიტის წერილიდან:

„წარმოდგენილი სტატიები დაწერილია უშუალოდ ანტიქართული პუტჩის წინა ხანებში (მათშია მოწოდება პუტჩისადმი) და უშუალოდ პუტჩის მომდევნო პერიოდში (მათშია უპირობო და სრული მხარდაჭერა კრიმინალური გადატრიალების შედეგად მოსული სისხლიანი სამხედრო საბჭოსადმი).

ჟურალ „ივერიას" გამოსცემდა ძირგამომთხრელი ორგანიზაცია „ქართულ-ევროპული ინსტიტუტი", რომელიც პარიზში, საბჭოთა გლობალისტური წრეების მიერ დაარსდა და რომელსაც არაკაცი ჯანრი კაშია ხელმძღვანელობდა. ეს სამკაციანი „ინსტიტუტი" მთლიანად ქართული ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციით იყო დაკავებული.

ეს უცილობელი დამტკიცებაა იმისა, რომ სიგუა-კიტოვან-იოსელიანის ბანდას რუსეთი კი არ ამოძრავებდა, არამედ, უპირველეს ყოვლის, წარმართავდა დასავლეთი და დასავლეთში ჩანერგილი ისეთი არაკაცები, როგორიცაა კაშია-ზურაბიშვილის წყვილი!

სალომე ზურაბიშვილსა და ჯანრი კაშიას იმ პერიოდის საქმიანობა სწორედ ისაა, რაც დეკლარაციაში წოდებულია „შინაგანი და გარეგანი ანტიეროვნული ძალების მიერ მოწყობილ სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებად". ისინი იყვნენ ამ გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორები, სულისჩამდგმელები და იდეოლოგები.

კიდევ ერთი დოკუმენტური დასაბუთებას იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური ხელმძღვანელი და მეთაური ჯანრი კაშია იყო და ასეთადაც რჩება:

„– თქვენ განაცხადეთ, რომ ქართველ ხალხთან ერთად აპირებთ მუშაობას საქართველოს საკეთილდღეოდ. როგორი ორგანიზაციული ფორმა ექნება ამ ერთობას?

– ეს რთული საკითხია. ახლა ჯანრიც ჩამოვიდა და ერთად დავიწყებთ ჯერ კონსულტაციებით, რომ ვნახოთ, ვინ არიან ის ხალხი, რომლებსაც ერთნაირად ესმით დღევანდელი სიტუაცია და ვისაც სურს, ვიმუშავოთ. ჯერ ვიმუშავებთ საზოგადოებრივ დონეზე. პოლიტიკური პარტიის შექმნა ჯერ არ არის აუცილებელი. მე სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებსაც შევხვდები, მაგრამ, უბრალოდ, როგორც ადამიანებს. მე მექნება შეხვედრები არასამთავრობოებთან, აკადემიაში, უნივერსიტეტში, პრესის წარმომადგენლებთან. საზოგადოების ამოქმედება უფრო საჭიროა დღეს, ვიდრე ორგანიზაციების შექმნა. ხვალ შეიძლება ეს ეტაპიც მოვიდეს. მოძრაობა ზეც რომ ვილაპარაკოთ, ამასაც უნდა რაღაც სტრუქტურა, ამას ფინანსებიც სჭირდება. დღეს ჩვენ არაფერი გვაქვს და უფინანსებოდ არავითარი მოძრაობა არ არსებობს. ვისაც სურს ჩვენთან ყოფნა, ყველასთვის კარი ღიაა". („რეზონანსი", # 285, ორშაბათი, 24 ოქტომბერი, 2005 წელი).

დაინტერესებულ მკითხველს შევახსენებთ: ყოველგვარი დაფინანსების გარეშე და სასტიკი დევნა-შევიწროების პირობებში, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ნამდვილად ეროვნულმა და ნამდვილად სახალხო მოძრაობამ დაამარცხა უმძლავრესი კომუნისტური ურჩხული.

დასკვნა: თუ რამე მოძრაობას ძლიერი შინაგანი მოტივაცია გააჩნია, მას დაფინანსება არ სჭირდება. ხოლო ფსევდომოძრაობები კი შინაგანი მოტივაციის უქონლობას ფინანსური მოტივაციით ანაცვლებენ!"

სხვათა შორის, ამავე საიტიდან ირკვევა, რომ ჟურნალ „ივერიაში", სალომე ზურაბიშვილი ფსევდონიმით წერდა და მისი ფსევდონიმი „სალომე ქართველი" გახლდათ. ჟურნალს კი, თურმე, მისი აწ განსვენებულუ მეუღლე, ჯანრი კაშია რედაქტორობდა.

იმის შესახებ, რომ სალომე ზურაბიშვილი ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ილაშრქებდა, დღემდე, პრაქტიკულად, არავინ იცოდა. სამაგიეროდ, ზურაბიშვილისა და ქაჯების ამბავი ანეკდოტად იქცა. ამასთან, საზოგადოება იმაზეც ხალისობდა და ხალისობს, პრეზიდენტობის ქალბატონ კანდიდატს ეშმაკი „ძიალოგისკენ" რომ მოუწოდებდა.

„ძიალოგი" ეშმაკთან

ეს ამბები კი ასე მოხდა:

საქართველოს „გავარდნებიდან" ზუსტად ორი წელია გასული. მართალია, ორი წელი ისტორიისთვის არაფერია, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქართველ „ვარდოსნებს" ქვეყანაში თავიანთი წესები დაემყარებინათ ანუ 2005 წლის შემოდგომისთვის, უკვე წართმეულია კერძო ქონება, პატრულისგან მოკლულია ბუტა რობაქიძე და, რაც მთავარია, გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილია პრემიერი ზურაბ ჟვანია... 2005 წლის 19 ოქტომბერს, იმჟამინდელი პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი, სალომე ზურაბიშვილს საგარეო საქმეთა მინისტრობიდან ითხოვს.

„ვარდოსნები" სალომე ზურაბიშვილს, ალბათ, უწყინარ ევროპელად თვლიდნენ, მაგრამ „მიშას ბანაკი" პირველად სწორედ მან შეაზანზარა – 20 ოქტომბერს, თბილისში, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ყველაზე მასშტაბური აქცია გამართა და იპოდრომზე შეკრებილ საზოგადოებას ამცნო, დამოუკიდებელ პოლიტიკური კარიერას ვიწყებო.

„საქართველოში ქაჯები კი არ მოდიან, ქაჯები მიდიან!" – მიმართა მაშინ ზურაბიშვილმა ხალხს... ერთი წლის შემდეგ კი, ოპოზიციური პარტია „საქართველოს გზა" ჩამოაყალიბა.

რაც შეეხება „ეშმაკთან ძიალოგს", ეს ფრთიანი ფრაზა ზურაბიშვილმა 2009 წელს, ე.წ. საკნების აქციების დროს წამოისროლა:

„დღეს ეშმაკის ენა არის ძიალოგი. გვისისინებს ეშმაკი, ძიალოგიო, წამოდიო, ძიალოგ ზეოოო. წადი ეშმაკო, წადი! ფუი, ეშმაკო!"

ქართული პოლიტიკიდან არც ქაჯები წასულან და არც – ეშმაკები. შესაბამისად, ზურაბიშვილის „სხარტულებს" აქტუალობა არ დაუკარგავს. მეტიც, მის ძველ „სიბრძნეებს" ახლებიც დაემატა – „ანალისტები", „განძრევა" და ასე შემდეგ...

სიტყვამ მოიტანა და, მიხეილ სააკაშვილი დღეს, ალბათ, ნანობს, რომ თავის დროზე, არც ტვინი „განძრია" და არც „ანალისტებს" ჰკითხა, სხვა ქვეყნის მოქალაქისა და ელჩის, ზურაბიშვილის საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელად დანიშვნა კარგი გადაწყვეტილება იყო თუ არაო. არადა, ამ კითხვას, თავის დროზე, ქართული მედია ხშირად სვამდა. ასე, მაგალითად, „რადიო თავისუფლების" 2004 წლის 12 მარტით დათარიღებულ წერილში – „რას ნიშნავს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე სალომე ზურაბიშვილის დანიშვნა" – ვკითხულობთ:

„საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრად საქართველოში, საფრანგეთის ელჩი, საფრანგეთის მოქალაქე, სალომე ზურაბიშვილი დაინიშნა.

11 მარტს გამართულ ბრიფინგზე, სააკაშვილს არ დაუმალავს, რომ სალომე ზურაბიშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა ადრეც უნდოდა, თუმცა ამის გაკეთებას მოერიდა, სანამ საფრანგეთის ხელისუფლების პოზიციას არ გაეცნო.

რას შეიძლება ნიშნავდეს საფრანგეთის მოქალაქის, სალომე ზურაბიშვილის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა?

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე წლების მანძილზე ნამუშევარი თედო ჯაფარიძე, რომელსაც კარგი და პარტნიორული ურთიერთობები აქვს ჩამოყალიბებული შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებთან, ქართული წარმოშობის ფრანგი დიპლომატით, სალომე ზურაბიშვილით შეიცვალა. მოასწავებს თუ არა ეს საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორის მკვეთრ შემობრუნებას შეერთებული შტატებიდან ევროპისაკენ? – ამ კითხვით უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ექსპერტს, დავით დარჩიაშვილს მივმართეთ:

„ასეთი შეფასება ნაადრევია, მაგრამ ახალი შტრიხი ჩნდება ქართულ საგარეო პოლიტიკაში – ეს არის ევროპული ვექტორის წინ წამოწევა და განსაკუთრებით საფრანგეთის, რომელიც თავისებურებითა და სპეციფიკურობით გამოირჩევა საერთაშორისო ურთიერთობებში. საქართველოს სახელმწიფოებრიობა სრულიად დამოკიდებულია აშშ-ის დახმარებაზე, როგორც პოლიტიკურ-დიპლომატიურზე, ისე სამხედროზე და, რა თქმა უნდა, ფინანსურზე. არ მგონია, ასეთი ნაბიჯი ყოფილიყო სრულიად შეუთანხმებელი საქართველოს სხვა პარტნიორებთან".

დავით დარჩიაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავარ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად რუსეთთან თანასწორი თანაარსებობის მიღწევა უნდა იქცეს. ეს კი ევროპისა და განსაკუთრებით, საფრანგეთის ჩარევის გარეშე შეუძლებელი ჩანს. მოსკოვი განსაკუთრებით ეჭვიანია კავკასიასა და საქართველოში ვაშინგტონის ინტერესების მიმართ, ხოლო ნაკლებად მგრძნობიარეა საქართველოსა და ევროპის ურთიერთობებისადმი.

დავით დარჩიაშვილი: „მგონი, საქართველომ უნდა მონახოს ფორმულა, რომ თანაბრად პარტნიორული ურთიერთობები ჰქონდეს ევროპასა და შეერთებულ შტატებთან. ამ ორ დიდ მოთამაშეს შორის არის ხოლმე წინააღმდეგობები, მაგრამ მათ შორის, ამავე დროს, ბევრია საერთო და საქართველომ რაღაცნაირად უნდა მოახერხოს, რომ მის საკითხში ეს ორი საგარეო დიდი აქტიორი იყოს ხოლმე თანამოაზრე. ეს ბევრად გააძლიერებს მას რუსეთთან ურთიერთობაში".

სალომე ზურაბიშვილს კი, როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, კარგი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა, როგორც შეერთებული შტატების, ასევე, რუსეთის დიპლომატიურ წრეებთან. თავად ქალბატონი ზურაბიშვილი საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე თავის მთავარ მისიად საქართველოს ევროპასთან დაახლოებას ასახელებს და იქვე დასძენს, რომ კარგი ურთიერთობები აქვს, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ასევე – რუსეთთან, თუმცა სანამ სალომე ზურაბიშვილი ამ მისიის განხორციელებას შეუდგება, მანამდე მას საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუციის საფუძველზე ორმაგი მოქალაქეობა უნდა მიანიჭოს. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ კი საგარეო საქმეთა ძველი მინისტრი, თედო ჯაფარიძე უნდა გაათავისუფლოს, ან თავად ჟაფარიძემ უნდა დაწეროს განცხადება გადადგომის შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება ზურაბ ჟვანიას პრეზიდენტ სააკაშვილს წარუდგინოს საგარეო საქმეთა მინისტრის ახალი კანდიდატურა – სალომე ზურაბიშვილი, ფორმალურად, იგი პრეზიდენტმა უნდა მოიწონოს და პრემიერ-მინისტრმა კი ამის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დაამტკიცოს".

ასე იყო თუ ისე, სალომე ზურაბიშვილი საგარეო მინისტრი გახდა და „ვარდების" მთავრობაში ინტრიგებიც დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, ითქვა, რომ მინისტრად დანიშვნის დღიდან, ზურაბიშვილმა პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე აითვალწუნა. პერიოდულად ჩნდებოდა ცნობა, რომ ზურაბიშვილ-ბურჯანაძე ერთამენთს დასანახად ვერ იტანდნენ, თუმცა თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, ქალბატონმა ზურაბიშვილმა ბურჯანაძესთან დაპირისპირება უარყო და განაცადა, მე და ნინო დები ვართო.

როგორი წესით აირჩევა ახალი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილის გადაყენების შემთხვევაში

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

„ქართული ოცნება“ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს. ამის შესახებ პარტიის ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ 1 სექტემბერს, პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომის გამართვის შემდეგ განაცხადა. კობახიძის განმარტებით, იმპიჩმენტის დაწყების მიზეზია ზურაბიშვილის ოფიციალური შეხვედრები საზღვარგარეთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ ამის უფლება არ მისცა. ზურაბიშვილი კი აცხადებს, რომ შეხვედრებზე გაემგზავრა, რათა ხელი შეუწყოს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. ამ თემაზე „ვერსია“ კონსტიტუციონალისტ ლევან ალაფიშვილს ესაუბრა:

ლევან ალაფიშვილი: „პრეზიდენტის ისეთი იმპიჩმენტის პრეცენდენტი, რაც საქართველომ დაიწყო, არ არსებობს!“

– იმპიჩმენტი კონსტიტუციური თანამდებობის პირების (პარლამენტის წევრების გარდა) თანამდებობრივი პოლიტიკურ-კონსტიტუციური პასუხისმგებლობის ფორმაა. კონსტიტუციური ორგანოები ე.წ. ცენტრალური ხელისუფლების პირველი პირების პასუხისმგებლობას გულისხმობს, იქნება ეს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი თუ სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირი ისევე, როგორც აუდიტის სამსახურის უფროსი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სხვა...

რაც შეეხება პროცედურას, როგორც აღვნიშნე, პოლიტიკური პროცესია, რომელიც პარლამენტში იწყება და მთავრდება. მინიმუმ, 50 პარლამენტარი იწყებს ამ პროცედურას, ასაბუთებს კონკრეტულ დარღვევას და დასაბუთებულ დოკუმენტს 50 ხელმოწერით გადაუგზავნის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. იმიტომ არის კონსტიტუციურად ასე გაწერილი, რომ ეს საკითხი პოლიტიკურად ანგაჟირებული არ იყოს, პარტიული გადაწყვეტილებები არ იქნას მიღებული და პარტიული ინტერესებით არ წარიმართოს სახელმწიფოებრივი პროცესი. სწორედ ამიტომ გადადის აპოლიტიკურ ორგანოში ეს საკითხი, უმაღლეს პროფესიულ ორგანოში.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, გადაცემიდან ერთ თვეში განიხილავს ამ საკითხს. პლენუმი ნიშნავს ცხრავე მოსამართლის სრულ შემადგენლობას, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში დადებითი ან უარყოფითი დასკვნა უნდა გასცეს. დარღვევა რომ დადასტურებული იყოს, ამისთვის საჭიროა საკონსტიტუციო სასამართლოს, მინიმუმ, ექვსი წევრის მხარდაჭერა. თუ ასე არ მოხდა, ბუნებრივია, დასკვნა უარყოფითი იქნება და პროცედურა აღარ გაგრძელდება პარლამენტში, მაგრამ თუ დადებითი იქნება, პროცესი ბრუნდება პარლამენტში და შიდა ბიუროკრატიის გავლის შემდეგ, პარლამენტს საკითხი გააქვს პლენარულ სხდომაზე, რის შემდეგაც ეყრება კენჭი. თანამდებობიდან გადაყენებისთვის საჭიროა პარლამენტის, მინიმუმ, 100 წევრის მხარდაჭერა. ამის შემდგომ, კონკრეტული თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც დაიწყო იმპიჩმენტის პროცედურა, გადაყენებულად ითვლება.

– და თუ ასე მოხდა, შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნები არაპირდაპირი წესით ჩატარდება?

– თუ პრეზიდენტზე ვსაუბრობთ, ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს ისე, როგორც გაწერილია კონსტიტუციაში. ერთი სპეციფიკა აქვს ამ საკითხს კონსტიტუციაში – სალომე ზურაბიშვილი პირდაპირი წესით არჩეული უკანასკნელი პრეზიდენტია და შესაბამისად, ამ ნაწილთან მიმართებაში, გარდამავალ დებულებებში, 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილების დროს, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების საკითხზე განსხვავებული ჩანაწერი არ არის. ეს ნიშნავს მოცემულობას, რომლის მიხედვითაც, ხმოსნები შედგება პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრისგან და თვითმმართველობებში, პარტიული წესით არჩეული საკრებულოს წევრთა ნაწილისგან – სულ 300 ადამიანისგან შედგება ხმოსანთა კოლეგია და ისინი წარმართავენ ახალი პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების პროცედურას.

თუმცა, აქ არის ერთი კონსტიტუციური ხარვეზი – საქართველოს მოსახლეობას არც ეს პარლამენტი, არც უმაღლესი საბჭოები არ აურჩევია იმ მანდატით, რომ ამ ინსტიტუტებს მიეღოთ მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში ანუ პოლიტიკურ-ელექტორალური ლეგიტიმაცია დღევანდელ პარლამენტსა და უმაღლეს საბჭოებს არ აქვთ, განსხვავებით მომდევნოსგან, რადგან მომდევნო პარლამენტი თუ უმაღლესი საბჭო აირჩევა იმ მოდელში, რომ მონაწილეობა მიიღოს პრეზიდენტის არჩევაში.

ეს ნაკლოვანება იქნება, მაგრამ კონსტიტუცია არ უშვებს ხანგრძლივი ვადით სახელისუფლებო თანამდებობრივ წყვეტას. ამისთვის განსაზღვრულია 45 დღე და სწორედ ამიტომ არ შეიძლება, ეს ვადა დავივიწყოთ და ერთი წლის განმავლობაში, პარლამენტის თავმჯდომარე ასრულებდეს პრეზიდენტის მოვალეობებსაც, რადგან სახელისუფლებო ლეგიტიმაცია მნიშვნელოვნად იქნება დასუსტებული.

– ბატონო ლევან, რა პრეცენდენტები გახსენდებათ პრეზიდენტების იმპიჩმენტისა და როგორ მოქმედებს ეს საკითხი სახელმწიფოს პრესტიჟზე?

– პრეზიდენტის იმპიჩმენტის სხვადასხვა პრეცენდენტი არსებულა, ოღონდ დღეს რაც საქართველომ დაიწყო, ასეთი არ არსებობს! შეგიძლიათ, მოიძიოთ, თუ სმენია ვინმეს, რომ ამ საფუძვლით, არათუ იმპიჩმენტამდე მისულიყო საქმე, არამედ, დაპირისპირება ყოფილიყო სადმე? – ასეთი, უბრალოდ, არ არსებობს და სამწუხაროა, რომ შეიძლება, საქართველომ შექმნას ეს პრეცენდენტი, როდესაც სტუდენტებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას ეტყვიან, რომ ეს არის ყველაზე ცუდი მაგალითი, რადგან მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკური ლოიალობისა, ირგვლივ გაჟღენთილი პარტიული პოლიტიკისა და იმის ალბათობა, რომ შეიძლება, საკონსტიტუციო სასამართლომ პოლიტიკური ლოიალობის გამო, თავზე ნაცარი დაიყაროს და დაწეროს, რომ კი, დაარღვია რაღაც... ეს თავისთავად არ იქნება საქართველოსთვის კარგი. ეს იქნება ცუდი მაგალითი, როცა ყველა მიუთითებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პარტიული დავალება შეასრულა და დაწერა ეს დოკუმენტი მიუხედავად იმისა, რომ იმპიჩმენტის პროცედურა ბოლომდე არ მიიყვანა პარტიამ, რომელმაც ეს დოკუმენტი დაუკვეთა ანუ ინსტიტუტებსა და ქართულ დემოკრატიას დააზიანებს ყველაფერი ეს არა მხოლოდ დღეს, არამედ, სამომავლოდაც. მეტი პასუხისმგებლობა რომ ჰქონდეს ყველას, მათ შორის ინიციატორებს, კარგი იქნებოდა. მათ ასე ადვილად წარმოუდგენიათ დაწყება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში, ერთი სიტყვა მოგვისმენია შინაარსზე? რომ თქვან, კონკრეტულად, რა დაარღვია სალომე ზურაბიშვილმა და დაასაბუთონ. ვერ დაასაბუთებენ, რადგან შეუძლებელია. ეს არ არის მხოლოდ კონსტიტუციის ფორმალური მითითება, აქ არის საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო სამართალი, რომელთაც ეს საკითხი უნდა განიხილონ. აი, აქ მეეჭვება, მათ შეძლონ წარმატებით დასაბუთება იმისა, რომ სახელმწიფოს მეთაურს, ქვეყნის დატოვების დროს, სჭირდება მთავრობის თანხმობა, ან ისეთი შეხვედრების დროს, როდესაც სამართლებრივ შედეგს სახელმწიფოს მიმართ არ წარმოშობს.

მეტსაც გეტყვით, არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ვენის კონვენცია, რომლის მონაწილეც საქართველო 1995 წლიდანაა. ვენის კონვენციაში პირდაპირ წერია, რომ სახელმწიფოს მეთაურს, პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს, სპეციალური უფლებამოსილების მინიჭებისა და მიმნიჭებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში აქვთ სახელმწიფოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. საერთაშორისო სამართალი როდესაც ამას ამბობს, ჩვენს კონსტიტუციაზე ფორმალური მითითებით ხომ ვერ გავლენ მმართველი პარტია და ინიციატორები ფონს? იქვე ხომ უნდა თქვან, რომ რადგან საერთაშორისო სამართალი ამას ამბობს, რაღაც დაირღვა და მაშინ თქვან, რა დაირღვა!

მე შევაშველებ მაგალითს – საერთაშორისო ურთიერთობები არ არის მხოლოდ ქვეყნის საზღვრებს გარეთ წარმოებული ურთიერთობები, ქვეყნის შიგნითაცაა და გასცენ პასუხი. ვსვამ კითხვას: მაგალითად, შარლ მიშელი ან გერმანიის პრეზიდენტი საქართველოში რომ ჩამოვიდეს და საქართველოს პრეზიდენტთან ჰქონდეს შეხვედრა (რაც ქვეყნის გარეთ მოხდა, ის რომ ქვეყნის შიგნით მოხდეს), ამაზე მთავრობის თანხმობა სჭირდება სალომე ზურაბიშვილს, შტაინმაიერს ან მიშელს?.. სასაცილოა, უბრალოდ, ასეთი რაღაცები.

– რას ფიქრობთ, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების საკითხზე ეს თემა გავლენას მოახდენს?

– სამწუხაროდ, მხოლოდ ჩაიღიმებენ, მაგრამ ალბათობის ძალიან მაღალი ხარისხით არ ვფიქრობ, რომ შეძლებენ სანუკვარი მიზნის მიღწევას – ეგებ, ევროკავშირმა გააჩეროს ეს პროცესი. განსაკუთრებით, ოპტიმისტური ვარ შარლ მიშელის ერთ-ერთი ბოლო განცხადების შემდეგ, როცა მან ცალსახად თქვა, რომ საქართველო და მისი მოსახლეობა არის ევროპული, იმსახურებენ ევროპული ოჯახის წევრობას, ისინი მიიღებენ ამ ბილეთს ევროპულ საზოგადოებაში და შესაბამისად, ექნებათ ვალდებულებები შესასრულებელი.

შეიძლება, 12 პუნქტზე გაცილებით მეტი ვალდებულება მოგვცენ საახალწლოდ, ე.წ. საშინაო დავალება, რაც ჩვენი სახელმწიფოსთვისვეა მნიშვნელოვანი, მაგრამ ის, რომ უარი თქვან, ამის კომფორტს ევროპა და დასავლეთი რუსეთს არ მისცემს. შესაძლოა, ნებსით თუ უნებლიედ, საქართველოს ხელისუფლება რუსულ თამაშს თამაშობდეს ამ ნაწილში – ეგებ, საქართველომ წაიფორხილოს და ამით რუსეთს საქირქილო მიეცეს, მაგრამ ევროპა საკმაოდ გამოიწრთო უკრაინის კონფლიქტის შემდეგ, თუ რა თამაშს თამაშობს რუსეთი, როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოსთან მიმართებაში და ამ კომფორტს რუსეთს არ შეუქმნიან... მაგრამ ეს როგორი სტატუსი იქნება და რა გვექნება სამომავლოდ გასაკეთებელი, ეს სხვა საკითხია. ქართველი ხალხი იმსახურებს ევროპას, ეს უპირობოა და და ამას ჩვენ მივიღებთ!

გიორგი ფხაკაძე: „შეუძლებელი შევძელი“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რას ნიშნავს და რატომაა საერთაშორისო აკრედიტაცია სამედიცინო დაწესებულებებისთვის აუცილებელი

საქართველოში, 286 სამედიცინო დაწესებულება, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაშია ჩართული, საერთაშორისო აკრედიტაციის გასავლელად ემზადება, რადგან მთავრობის გადაწყვეტილებით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული ყველა კლინიკა ვალდებულია, მსოფლიო დონის სტანდარტები დააკმაყოფილოს და საერთაშორისო აკრედიტაციის ორგანოს აღიარება მოიპოვოს. განსაზღვრულია პირობები და ვადა 2025 წლის პირველი იანვარია. რას გულისხმობს საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება, რატომაა ეს მნიშვნელოვანი საქართველოს მოსახლეობისთვის და ზოგადად, რა უნდა ვიცოდეთ კლინიკების აკრედიტაციაზე? – „ვერსია“ პროფესორს, მედიცინის დოქტორს, „აკრედიტაცია კანადას“ წარმომადგენელს საქართველოში, გიორგი ფხაკაძეს ექსკლუზიურად ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, თქვენ აკრედიტაციის ერთ-ერთ ორგანიზაციას – „აკრედიტაცია საქართველოს“ წარმოადგენთ ჩვენს ქვეყანაში. რას ნიშნავს საერთაშორისო აკრედიტაცია კლინიკებისთვის და რას შეცვლის ეს ჩვენს ქვეყანაში?

– დავიწყოთ იმით, რომ აკრედიტაციასა და სერტიფიკაციას შორის დიდი განსხვავებაა. ISO-ს საერთაშორიშო სერტიფიკაცია საქართველოში უკვე ცნობილია, ბევრი ქარხანა და წარმოებაა აკრედიტებული ISO-ს მიერ. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ ინდოეთში საპირფარეშოები ISO-ს მიერაა სერტიფიცირებული. ამიტომ, ზოგჯერ მეცინება ხოლმე, ზოგი კომპანია ისე ამაყობს ამ სტანდარტით, მაგრამ როცა ვსაუბრობთ აკრედიტაციაზე, ეს სულ სხვა პროცესია და ეს არ არის სტანდარტიზაცია. თუ ISO იმას უყურებს, დოკუმენტაცია არის თუ არა მოწესრიგებული, აკრედიტაცია, ამასთან ერთად, აკონტროლებს იმას, რომ პროცესები უნდა იყოს დალაგებული.

მსოფლიოში, სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესი ინტენსიურად, 90-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ აკრედიტაციის მიმნიჭებელი პირველი ორგანო 1951 წელს, აშშ-ში ჩამოყალიბდა, რომელსაც ჰქვია Joint Commission და რომლის ძირითადი ფუნქცია სამედიცინო დაწესებულებების სტანდარტიზაციაა. 1958 წელს, მეორე ასეთი ორგანიზაცია – „აკრედიტაცია კანადა“ ჩამოყალიბდა ანუ, პრაქტიკულად, ყველაზე ძველი ორგანიზაციები მსოფლიოში ეს ორია. აშშ-ში, საავადმყოფოების უმრავლესობა აკრედიტებულია Joint Commission-ის მიერ, ხოლო კანადაში – „აკრედიტაცია კანადას“ მიერ.

შემდეგ შეიცვალა კანონმდებლობა აშშ-სა და კანადაში, აშშ-ის ფედერალურმა მთავრობამ გადაწყვიტა, რომ თუ ვინმეს უნდოდა, მიეღო ერთი დოლარიც კი ფედერალური მთავრობისგან, მაშინ უნდა ჰქონოდა Joint Commission-ის აკრედიტაცია. ეს კი იმის მანიშნებელი იყო, რომ საავადმყოფო აკმაყოფილებდა სტანდარტებს. ასე დაიწყო აკრედიტაციის მეშვეობით საავადმყოფოებსა და სახელმწიფოებთან ურთიერთობები. კანადაშიც აბსოლუტურად იგივე კონცეფციაა, რომელიც შემდეგ გადაიღეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა. 90-იან წლებში, ამ ორმა ორგანიზაციამ დაიწყო საერთაშორისო დონეზე მუშაობა. ასე ჩამოყალიბდა Joint Commission International – JCI და „კანადა აკრედიტაცია“ დარჩა ამ სახელწოდებით, მათთან ერთად ათეულობით ორგანიზაცია შეიქმნა, რადგან აკრედიტაციაც დიდი მოთხოვნა იყო.

შესაბამისად, 90-იან წლებში, ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანიზაცია ჟენევაში, რომელიც არის აკრედიტაციის მიმნიჭებელი ორგანიზაციების აკრედიტატორია. პარალელურად, მაგალითად, საფრანგეთმა გადაწყვიტა, რომ უარი ეთქვა საერთაშორისო სტანდარტებზე, რადგან ჰქონოდა საკუთარი, ეროვნული და ერთის გარდა, ყველა საავადმყოფო საფრანგეთში, აკრედიტაციის მიმნიჭებელი ეროვნული ორგანიზაციის მიერაა აკრედიტებული.

ორგანო რომ ჩაითვალოს საერთაშორისოდ, თავად უნდა იყოს აკრედიტირებული და მისი სტანდარტები უნდა იყოს საერთაშორისო დონის. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრი ორგანიზაციაა, რომლებიც არ არიან აკრედიტირებულნი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციები. ეს იგივეა, მე და თქვენ რომ ჩამოვაყალიბოთ ორგანიზაცია და ვთქვათ, რომ საერთაშორისოა. მეორე საკითხია სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც, საავადმყოფოებში პროცესები უნდა იყოს საერთაშორისო დონის შესაბამისი...

– ბატონო გიორგი, რა ვითარებაა საქართველოში, კლინკების აკრედიტაციის კუთხით?..

– საქართველოს ჯანდაცვის სფეროში რევოლუციური რამ მოხდა შარშან, როცა პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა წინასაახალწლოდ თქვა, რომ ქვეყანა უნდა გადავიდეს ხარისხიან ჯანდაცვაზე. მაშინ მან განაცხადა, რომ საქართველოში ყველა კლინიკა გაივლის საერთაშორისო აკრედიტაციას. იანვარშივე, ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით დადგინდა, რომ ყველა სამედიცინო დაწესებულებას, რომელსაც სურს, მიიღოს სახელმწიფოსგან დაფინანსება, უნდა ჰქონდეს საერთაშორისო აკრედიტაცია. ეს არის კარგი პრაქტიკა ანუ პრემიერის გადაწყვეტილება სწორი იყო.

ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებაში მითითებული იყო ექვსი ორგანიზაცია, რომელთაც შეუძლიათ, აკრედიტაცია ჩაუტარონ კლინიკებს საქართველოში, მაგრამ იმ ექვსიდან, მხოლოდ ოთხია საერთაშორისო, ხოლო ორი მათგანი რატომ მოხვდა იმ სიაში, ვერ მივხვდი, რადგან ისინი არ აკმაყოფილებენ ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებას, სადაც მითითებულია, რომ ორგანიზაცია უნდა იყოს საერთაშორისო და აუცილებლად აკრედიტირებული.

საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო დონის ორგანიზაციამ უკვე დაიწყო აკრედიტაციაზე მუშაობა. ფლაგმანი იყო „მედიქლაბი“, რომელმაც პირველმა მიიღო Joint Commission International-ის აკრედიტაცია.

როგორც იცით, ჟენევაში ვმუშაობ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში, მაგრამ რადგანაც დავინახე, რომ აკრედიტაციის პროცესი ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის, მივიღე გადაწყვეტილება, ჩავრთულიყავი ამ პროცესში. ამ მიზნით, დავუკავშირდი ყველაზე მსხვილ ორგანიზაციას მსოფლიოში, „აკრედიტაცია კანადას“, რომლის აკრედიტაცია გავლილი აქვს 15 000-მდე სამედიცინო დაწესებულებას მსოფლიოში. ჩემი მიზანი იყო, საქართველოში სისტემა დანერგილიყო და ჩამოგვეყალიბებინა ოფისი, რაც ადგილობრივი, ქართველი სპეციალისტების გაზრდაშიც დაგვეხმარებოდა, ასევე ადგილობრივი სპეციალისტებისთვის ჩაგვეტარებინა საერთაშორისო დონის ტრენინგები, რაც რთული პროცესი იყო, თუმცა შევძელით და დღეს, „აკრედიტაცია კანადას“ ოფისი საქართველოშია, სადაც ვმუშაობთ 12-კაციანი გუნდი. იანვრიდან დავიწყეთ ტრენინგები საერთაშორისო ექსპერტების მიერ და ახლა, საქართველოს ჰყავს საერთაშორისო სტანდარტების დამნერგავი, ძლიერი გუნდი.

საქართველოში, 14 სამედიცინო დაწესებულებასთან ინტენსიურად დავიწყეთ აკრედიტაციის პროცესი, ჩვენი მრჩევლები შედიან სამედიცინო დაწესებულებებში და საავადმყოფოსთან ერთად გადიან ყველა საკითხს, რაც ეხება საერთაშორისო აკრედიტაციას. რთულია ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, როცა ამის გამოცდილება არ გვქონია. დავარწმუნე კანადელები, რომ ამ მეთოდით წავსულიყავით საქართველოში, რათა მრჩევლების ძირითადი გუნდი ყოფილიყო ქართველების და არა – უცხოელების.

ზოგადად, აკრედიტაციის პროცესი ერთიდან სამ წლამდე გრძელდება. ჯანდაცვის მინისტრის მოთხოვნით, აკრედიტაციის პროცესში, ამ წლის ბოლომდე, ყველა საავადმყოფომ, რომელიც ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვაში, უნდა წარადგინოს კონტრაქტი, ხელშეკრულება, რომ მათ დაიწყეს ეს პროცესი რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციასთან. თუ არ წარადგენენ, იანვრიდან შეუწყდებათ საყოველთაო დაფინანსება.

თუ 2025 წლის პირველი იანვრისთვის, საავადმყოფოებს მინიჭებული არ ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია, ვერ მიიღებენ საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსებას. შესაბამისად, ვინაიდან ეს პროცესი რთულია, გადავწყვიტეთ, ეს მეთოდი აგვერჩია – 12 მრჩეველი, ყოველ კვირა, სამი საათის განმავლობაში, სამედიცინო დაწესებულებაში მიდის და ადგილზე უხსნის, უმეორებს ყველა მნიშვნელოვან საკითხს აკრედიტაციის შესახებ.

– ბატონო გიორგი, კლინიკები აკრედიტაციის მიმნიჭებელ ორგანიზაციებს უხდიან საფასურს, არა?

– ეს მომსახურება არის ფასიანი და საავადმყოფიები იხდიან ამ საფასურს. ჩემი ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად, შეუძლებელი შევძელი და საქართველოში „აკრედიტაცია კანადას“ მომსახურების ფასი ძალიან დაბალია, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით... ჩვენ ჩავდეთ რესურსი, ენერგია და ინვესტიცია ქართველ ექსპერტებში, რომლებიც ჩვენი ეროვნული საგანძურია. ქართველ ექსპერტებს არ ექნებათ უფლება, ჩაუტარონ ექსპერტიზა ქართულ საავადმყოფოებს, რადგან ინტერესთა კონფლიქტია, მაგრამ ისინი იქნებიან შემფასებლები სხვა ქვეყნებში. ეს ექსპერტები დაეხმარებიან ქართულ საავადმყოფოებს, რომ გაიარონ საერთაშორისო აკრედიტაცია.

– მას შემდეგ, რაც გაივლიან აკრედიტაციას, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ მომსახურების ფასს გაზრდიან ქართული საავადმყოფოები?

– სტანდარტების ჩამოყალიბება და ხარისხის ამაღლება, საბოლოო ჯამში, მოსახლეობისთვის ჯანდაცვის ფასს დაწევს. არ ვაჭარბებ და ფაქტია, რომ საქართველოში, ხუთ სხვადასხვა საავადმყოფოში რომ მიხვიდეთ ტესტის ჩასატარებლად, მიიღებთ ხუთ განსხვავებულ პასუხს-დიაგნოზს ანუ რეალურად, გგონიათ, რომ იაფად იღებთ, მაგრამ სინამდვილეში, ძვირი გიჯდებათ ეს სერვისი, რადგან ერთის ნაცვლად, ხუთ ექიმთან მიდიხართ იმიტომ, რომ ხარისხია დაბალი. როცა საავადმყოფო აკრედიტირებულია, ე.ი. იქ ხარისხის თემა დალაგებულია და სხვა საავადმყოფოში წასვლის საჭიროება აღარაა, რადგან სრულ მომსახურებას იღებ და უფრო იაფი გიჯდება. შეიძლება, საავდმყოფომ თქვას, რომ ინვესტიცია ჩავდე, რათა ხარისხი კიდევ უფრო გავაუმჯობესოო და ამიტომ ერთეულის ფასმა აიწიოს, მაგრამ საბოლოო ჯამში, მოსახლეობისთვის ჯანდაცვის მომსახურების მიღება უფრო იაფი გამოდის.

მაგალითად, „აკრედიტაცია კანადა“ არ ითხოვს ინფრასტრუქტურის შეცვლას სამედიცინო დაწესებულებაში, არამედ, ვუყურებთ პროცესების დალაგებას – არსებულ ფიზიკურ გარემოში, როგორ შეიძლება პროცესები ისე დალაგდეს, რომ პაციენტისთვის უსაფრთხო იყოს...

ფინანსური დარღვევები ფინანსური მონიტორინგის სამსახურში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სკანდალური დასკვნა – რა დარღვევები გამოვლინდა უწყებაში, რომელიც ქვეყანაში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით შეიქმნა

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტორები ფინანსური მონიტორინგის სამსახურით დაინტერესდნენ. დასკვნა, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2021-2022 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური" ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი კანონმდებლობით შექმნილი უწყებაა. თუმცა, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, სახელმწიფო აუდიტორებმა ამ უწყებაშიც კი გამოავლინეს ფინანსური დარღვევები, განსაკუთრებით, შრომით ხელშეკრულებებში, დანამატებსა და ავტოსატრანსპორტო ხარჯებში.

ზოგადი ინფორმაცია

ვიდრე უშუალოდ იმ ფინანსურ დარღვევებს გაგაცნობთ, რომლებიც სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, თვალი გადავავლოთ ზოგად ინფორმაციას ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შესახებ.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური არის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს კანონითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, შესაბამისი სამართლებრივი აქტებით. სამსახურის მიზანია, საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, სამსახური ანგარიშვალდებული პირის მიერ, კანონისა და სამსახურის უფროსის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულების საკითხებზე, გამოსცემს სახელმძღვანელო მითითებებს და შეიმუშავებს მეთოდურ რეკომენდაციებს, ადგენს საეჭვო გარიგებაზე ანგარიშგების ფორმას; ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების, ასევე სხვა დანაშაულებრივი საქმიანობის ფაქტების გამოვლენის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ანგარიშვალდებული პირებისაგან მოითხოვს დამატებით ინფორმაციას და მათ ხელთ არსებულ დოკუმენტებს (ორიგინალი ან ასლი), მათ შორის, კონფიდენციალურს, ნებისმიერი გარიგებისა და მისი მონაწილე პირების შესახებ; საზედამხედველო ორგანოებს აწვდის ინფორმაციას შესაბამისი რეაგირებისათვის", – ვკითხულობთ უწყების დებულებაში.

გარდა ამისა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის შესრულების მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს; სწავლობს საქართველოში და საზღვარგარეთ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ხერხებს და შეიმუშავებს საეჭვო გარიგების გამოვლენისას ანგარიშვალდებული პირისთვის სახელმძღვანელო, საყურადღებო ნიშნებს; მონაწილეობს საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სფეროში სამართლებრივი აქტებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავებასა და განხილვაში; უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოდან მოითხოვოს და მიიღოს კონფიდენციალური ინფორმაცია, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, სამსახურისთვის პირდაპირ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ასეთი ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზები, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია.

სამსახური ქმნის საინფორმაციო ქსელს, ახორციელებს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციასა და ანალიზს, უზრუნველყოფს შესაბამის მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნასა და ფუნქციონირებას; აანალიზებს ანგარიშვალდებული პირებისგან და სხვა წყაროებიდან მიღებულ ანგარიშგებებსა და სხვა ინფორმაციას (დოკუმენტს) და ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, თავისი ანალიზის შედეგებს უგზავნის საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, სსიპ შემოსავლების სამსახურს ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს; უფლებამოსილია, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან საამისოდ უფლებამოსილი მათი მოადგილეების დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე წარუდგინოს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია (დოკუმენტი), რომელიც აუცილებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე მიმდინარე გამოძიების მიზნების მისაღწევად; შეისწავლის „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის შესრულების მდგომარეობას და, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს შესაბამის საკანონმდებლო წინადადებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს კანონის მიზნის მიღწევას; ახორციელებს

დასასრული მე-8 გვერდზე

ფინანსური დარღვევები ფინანსური მონიტორინგის სამსახურში

მე-7 გვერდიდან

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

„რაც მთავარია, წელიწადში ერთხელ, მომდევნო საანგარიშო წლის 1 მაისამდე, სამსახური საქართველოს მთავრობას წარუდგენს ანგარიშს, გაწეული საქმიანობის შესახებ. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ოთხი წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სამსახურის საშტატო ნუსხასა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობას, სამსახურის უფროსის წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი“.

მოხელისთვის მოხელის კლასის მინიჭების მიზანია, მოხელის მოტივაციის ამაღლება, მატერიალური კეთილდღეობის ხელშეწყობა და საჯარო სამსახურის სტაბილურობის უზრუნველყოფა. სამსახურს არ უსარგებლია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებით, რათა მოხელის შეფასების შედეგების მიხედვით, თანამშრომლებისთვის მიენიჭებინათ საკლასო ჩინი და შესაბამისად, სამსახურის თანამშრომლებს საანგარიშგებო პერიოდში არ მიუღიათ საკლასო დანამატი. სამსახურის მოხელის შრომის ანაზღაურების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულ შრომის ანაზღაურების დონეს.

სამსახურის დაფინანსების წყაროებია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სამსახურის მიმდინარე ხარჯებისთვის გათვალისწინებული სახსრების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით, დასაშვებია მხოლოდ სამსახურის უფროსის წინასწარი თანხმობით.

დარღვევები დანამატებში

ახლა ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, დანამატების გაცემის ნაწილში.

მოქმედი კანონმდებლობით, მოხელეს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისთვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის, ეძლევა სახელფასს დანამატი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხელის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაო სრულდება მხოლოდ მოხელის ზემდგომი თანამდებობის პირის წერილობითი დავალების საფუძველზე; ასევე, მოხელის ზემდგომი თანამდებობის პირის წერილობითი დავალება წარმოადგენს დასვენებისა და უქმე დღეებში მოხელისთვის მუშაობის დაკისრების სამართლებრივ საფუძველს.

„აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ 2021 წელს, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებზე, დანამატის სახით გაიცა 196 817 ლარი, ხოლო 2022 წელს – 196 367 ლარი. სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, თუ რა სახის ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება (ან საქმიანობა ღამის საათებსა და დასვენების/უქმე დღეებში) დაევალათ თანამშრომლებს; ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი ასეთი სახის სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აქედან გამომდინარე, ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, სახელმწიფო აუდიტორებმა შეიმუშავეს რეკომენდაცია, რომელიც ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს:

„სამსახურის თანამშრომლებისთვის დანამატის გაცემის დოკუმენტური საფუძვლების უზრუნველყოფად, მნიშვნელოვანია, შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ან ღამის საათებსა და დასვენების/უქმე დღეებში საქმიანობის დავალების დოკუმენტურ დადასტურებას“.

დარღვევები შრომით ხელშეკრულებებში

გაგიკვირდებათ, მაგრამ უწყებაში, რომელმაც ქვეყანაში ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსების ხელშეწყობა უნდა აღმოფხვრას, სახელმწიფო აუდიტორებმა დარღვევები შრომით ხელშეკრულებებშიც გამოავლინეს.

მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული საჯარო კონკურსის გარეშე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ეგზავნება საჯარო სამსახურის ბიუროს. 2021-2022 წლებში, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე გამარტივებული საჯარო კონკურსის გამოცხადების გარეშე გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება ხუთ პირთან და ორ დამხმარე მოსამსახურესთან. აღნიშნული დოკუმენტები არ გადაეგზავნა საჯარო სამსახურის ბიუროს.

„კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მინიჭებული უნდა ჰქონდეს საჯარო დაწესებულების არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება, თუმცა ზემოთ აღნიშნული პირები დასაქმებულნი იყვნენ ხანგრძლივად, რაც შეუსაბამოა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. გარდა ამისა, მოქმედი კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოები დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული. სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულ პირთა მიერ შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს და წარმოშობს ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე გაცემული ანაზღაურების პროცესის გამჭვირვალობის რისკებს“.

ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაცია ასეთია: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე გაცემული ანაზღაურების პროცესის მეტი გამჭვირვალობისათვის, მნიშვნელოვანია, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დოკუმენტურად დადასტურდეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სამსახურის ხელმძღვანელობამ განსაზღვროს დისტანციურად მუშაობისა და შესრულებული სამუშაოს შესაბამისი დოკუმენტირების წესები.

დარღვევები ავტოტრანსპორტის ხარჯებში

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახურს ექსპლუატაციაში შეიძლება ჰყავდეს ერთი განპიროვნებული და საშტატო რიცხოვნობიდან გამომდინარე, ერთი სამორიგეო ავტომობილი. ფაქტობრივი მდგომარეობით, სამსახურის ბალანსზე ირიცხებოდა სამი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

„მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამორიგეო ავტომობილი განკუთვნილია ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად, რომელიც არ განეკუთვნება განპიროვნებული ავტომობილების რიცხვს და გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის განმარტებით, ფაქტობრივად, სამორიგეო ავტომობილით სარგებლობდა მხოლოდ ერთი თანამშრომელი. გამომდინარე იქიდან, რომ არ ხდებოდა ავტომობილზე კონტროლი, შეუძლებელი იყო მისი ყოველდღიური გადაადგილებისა და ლიმიტით განსაზღვრული საწვავის მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებისთვის ხარჯვის კონტროლის უზრუნველყოფა“, – დაასკვნეს სახელმწიფო აუდიტორებმა.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას – „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადოს“, 2021 წლის 28 ივლისამდე იყენებდა ერთ-ერთი თანამშრომელი, რაც შეუსაბამოა მოქმედ კანონმდებლობასთან. მიღებული განმარტებით, თანამშრომელი საკუთარი სახსრებით სწევდა საწვავისა და შეკეთების ხარჯებს. შემდგომ პერიოდში კი, აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოიყენებოდა განპიროვნებული ან სამორიგეო ავტომობილების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, თუმცა ამ ავტომობილისათვის საწვავის ხარჯვის ლიმიტი არ დადგენილა და არც ხარჯი გაწეულა.

რეკომენდაცია: ავტოპარკის არასამსახურებრივი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, სამორიგეო ავტომობილის გამოყენება განხორციელდეს სამსახურის უფროსის, ან სხვა უფლებამოსილი პირის თანხმობით! ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სამსახურმა შეიმუშაოს სპეციალური ფორმა, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია სამორიგეო ავტომობილის გამოყენების საჭიროებისა და მისი გადაადგილების მარშრუტის შესახებ.

სამართალი

№33 6 სექტემბერი 2023 წ

როგორ კეთდება ფული ტყეების გაჩეხვაში

სკანდალური სქემა და ციხეში გაშვებული 17 ადამიანი

ბათო ჯაფარიძე

შოვის ტრაგედია კიდევ კარგა ხანს არ მოშუშდება. მეწყერმა ათეულობით ჩვენი თანამოქალაქის სიცოცხლე შეიწირა და ვაი, რომ მათ შორის ბევრი ბავშვია. სტიქიის გამომწვევ მიზეზებზე ბევრი ისაუბრეს, კიდევ უფრო მეტი წინ გველოდება, მაგრამ ის, რომ საქართველოში მეწყრული ზონები მომრავლდა, ტყეების გაჩეხვის ბრალი გვგგონია. არ ვამბობთ, რომ შოვის ტრაგედიაც ამან გამოიწვია, მაგრამ ტყეების რაოდენობა ყოველწლიურად რომ იკლებს, ფაქტია. ეს განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებზე ითქმის, სვანეთსა და რაჭაში ყოველდღიურად ათობით და ასობით ხე იჭრება და ეს იცის ყველამ, მოსახლეობიდან დაწყებული, ადგილობრივი თვითმმართველობით დამთავრებული, თუმცა არავინ რეაგირებს. დანაშაულს, რომელსაც ახლა გიამბობთ, შესაძლოა, საქართველოში ანალოგი არც კი აქვს, რადგან სამართალდამცავებმა ზუსტად იცოდნენ, ვინ რას აკეთებდა, მაგრამ დამნაშავეები მათ კანონის ძალით ესაუბრებოდნენ და სწორედ კანონის გამო ძალოვნები ეჭვმიტანილთა დაკავებას ვერ ახერხებდნენ.

თითქოს ყველაფერი ძალიან მარტივად დაიწყო – მოქალაქემ გარემოს დაცვის ცხელ ხაზზე დარეკა, ტყის შუაგულში მოტიტვლებული ადგილი ვნახე, ადრე გაუვალი ტყე იყო და ეგებ, რამე ზომები მიიღოთო. ადგილზე გარემოს დაცვის წარმომადგენლები გამოცხადდნენ და დარწმუნდნენ, რომ ტყე მართლაც, გაჩეხილი იყო. შემოგარენის დათვალიერების შემდეგ, ანალოგიური ტყე-კაფი რამდენიმე ადგილზე კიდევ ნახეს. გამოდიოდა, რომ ვიღაც საგულდაგულოდ მუშაობდა და ტყიდან მასალას ეზიდებოდა. მოჭრილი იყო წიფლისა და ცაცხვის ასწლოვანი ხეები. გარემოს დაცვის ადგილობრივი თანამშრომლები დაიბარეს და ლამის ტყავი გააძრეს, გინდათ თუ არა, დამნაშავეები იპოვეთო. რეინჯერებმა თავი დახარეს, ისეთ სიღრმეში არ შევდივართ, რადგან წარმოუდგენელი გვგგონია იმ ტერიტორიიდან ხე-ტყის გამოტანა, სამანქანო გზა 4-5 კილომეტრზეა და ხელით ამხელა მორებს ვინ ათრევს, ტყეში კიდევ სახერხი არ არისო. მიუხედავად ამისა, პატრულირება გაძლიერდა და შედეგი ორი დღის შემდეგ დადგა – რეინჯერები სამ ადამიანს მაშინ წაადგნენ თავს, როცა მათ წიფლის ხე წამოაქციეს. ყველაზე საინტერესოც აქ დაიწყო – კანონის მიხედვით, ერთი ხის მოჭრის გამო, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დგებოდა, მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმა იყო, რაც გამოწერეს და შინ დამშვიდებულები წავიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ, იგივე ხალხი იგივე რეინჯერებმა დააკავეს, ისევ წიფლის მოჭრაზე, მაგრამ ამჯერადაც, ის ოდენობა არ იყო, საქმე აღეძრათ და კვლავ ჯარიმით შემოიფარგლნენ. ასე გაგრძელდა ლამის ორი თვე.

„ტყის უკანონოდ მჭრელებმა გამოსავალი იპოვეს. ისინი ჭრიან და ეზიდებიან ზუსტად იმ ოდენობას, რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციულ ჯარიმას ითვალისწინებს. როცა მოჭრილ ხეს დააბინავებენ, შემდეგ ჭრიან ახალს და ასე გრძელდება 24-საათიან რეჟიმში. მთლიანობაში, მუშაობს 15-კაციანი ბრიგადა და კანონის გამო, მოკლებულნი ვართ, სხვა რეაგირება მოვახდინოთ. აუცილებელია, საკანონმდებლო ორგანომ კანონში ცვლილება შეიტანოს“, – ეწერა პატაკში, რომელიც რეგიონის გარემოს დაცვის უფროსმა სამინისტროს მისწერა.

მართლაც, უცნაური რამ ხდებოდა – თუ რეინჯერები მოახერხებდნენ და ტყის უკანონოდ მჭრელებს დააკავებდნენ, ჯარიმას უწერდნენ, თუ არა და გაჰქონდათ დღეში რამდენჯერმე მოჭრილი ხეები და ჰყიდდნენ. როგორც ხდება ხოლმე, რეგიონის უფროსის წერილი გადაიკითხეს და თაროზე შემოდეს. პარლამენტისთვის მიმართვა არავის უფიქრია და ეს არც მაშინ მომხდარა, როცა იგივე პროცესი უკვე სხვა რეგიონში დაიწყო და რაც მთავარია, იქაც პროცესს სწორედ ის პირი აკონტროლებდა, რომელიც სხვა რეგიონში. ვინ იყო ყველაფრის ორგანიზატორი? ძველი კრიმინალი, შემდეგ ბიზნესში წასული ადამიანი, რომელიც კრიმინალურ მიდგომებზე უარს არც ამჯერად ამბობდა და იმის მიუხედავად, რომ სამართალდამცავები ბევრს ცდილობდნენ, მუშები აელაპარაკებინათ და ორგანიზატორის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე დაეთანხმებინათ, ყველა უარს ამბობდა, აქაოდა, მერე თქვენ ვერ გვიშველით, მოგვკლავენო.

პრობლემა მხოლოდ ხეების მოჭრა და გატანა კი არ იყო, არამედ, ამ ხეებისგან მიღებული ფიცრების გასაღებაც. როგორ და რა გზებით გაჰქონდათ ფიცრები, თავიდან ვერავინ ხვდებოდა, მერე კი გაარკვიეს, რომ დიდ ნაწილს მდინარეზე აცურებდნენ და უკან რეზინის ნავებით მიჰყვებოდნენ, რათა სადმე გაჭედილი ფიცრები გაეთავისუფლებინათ. სველი ფიცარი უკვე ახლომდებარე რაიონში მიჰქონდათ, სპეციალურ საშრობებში აშრობდნენ, იქიდან კი საბუთსაც წერდნენ და ძირითადად, აზიაში (ირანი, ჩინეთი) ჰყიდდნენ. პოლიცია საკუთარ უსუსურობას ვერ ეგუებოდა, მაგრამ ვერც კანონს არღვევდა. ტყეები კი იჩეხებოდა და მოსახლეობა ხელს სწორედ სამართალდამცავებისკენ იშვერდა, აქაოდა, თქვენ „კრიშავთ“, თორემ აქამდე რატომ არ დაიჭირეთო. არადა, „კრიშა“ კი არა, ყელში ძვალივით ჰქონდათ გაჩხერილი ცალკე – პოლიციას და ცალკე – გარემოს დაცვას ტყის მჭრელების საქმე და ვერაფერს ახერხებდნენ. კანონმდებლობა კი აგვიანებდა და აგვიანებდა იმის მიუხედავად, რომ უკვე მეორე რეგიონის უფროსმა დაწერა, კანონია შესაცვლელი, თორემ ტყეების ნაცვლად, მინდვრები დაგვრჩებაო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს განუკითხაობა სამ წელზე მეტხანს გაგრძელდა და ამ ხნის განავლობაში, მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმების ხარჯზე, კონკრეტულმა ჯგუფმა, ორ რეგიონში, 8 ჰექტარზე მეტი ტყე გაჩეხა და გაჩეხა ასწლოვანი ხეები, ისეთები, რომლებსაც უნდა მოფრთხილებოდნენ. კანონის შეცვლაზე მუშაობა ნელა მიდიოდა (თუმცა, მიდიოდა) და თითქოს კანონმდებლები კატასტროფის მასშტაბებს ვერ ხვდებოდნენ. იმასაც ამბობდნენ, სწორედ საკანონმდებლო ორგანოდან „კრიშავენ“ კონკრეტულ პიროვნებებსო, მაგრამ ეს ინფორმაცია მაშინ არ დადასტურდა. ჰო, მაშინ, რადგან ახლა... ამაზე, ქვემოთ.

საქმე გამოცდილ გამომძიებელს ჩააბარეს და მან მიდგომა შეცვალა. საერთოდ აუკრძალა გარემოს დაცვის თანამშრომლებსაც და პოლიციელებსაც ტყის მჭრელების დევნა, ნებაზე მიუშვა და მხოლოდ პროცესის შორიდან დაკვირვება დაავალა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, გამომძიებელმა ორ ოპერმუშაკს სპეცდავალება მისცა. ისინი სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილები დადიოდნენ ტყეში ხან სოკოზე, ხან – სანადიროდ, ხან – საქეიფოდ და ყველაფერს აკვირდებოდნენ, ითვლიდნენ, იწერდნენ. ჰო, იწერდნენ და სპეცოპერაციის დროც მოვიდა. სამართალდამცავების მხრიდან უყურადღებობით გათამამებულმა მჭრელებმა გადაწყვიტეს, ერთი ტრაილერი ბოლომდე დაეტვირთათ და ადგილამდე ისე მიეტანათ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გზად არავინ გააჩერებდა, რადგან რამდენიმე თვე იყო, არავინ გამოჩენილა. სპეცოპერაცია უხმაუროდ ჩატარდა და პირველ ეტაპზე, შვიდი კაცი დააკავეს, შემდეგ – ათი და ყველა მათგანზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ცუდი ის იყო, ციხის შიშითაც კი, არაცეთი დაკავებული საქმის ორგანიზატორს ხელს არ ადებდა.

საბოლოო ჯამში, სასამართლოს წინაშე სწორედ 17 ბრალდებული წარსდგა და ერთის გარდა, ყველა მათგანს რეალური სასჯელი მიესაჯა, ორგანიზატორმა კი საქმიანობის გაგრძელება ვეღარ მოახერხა – როგორც იქნა, კანონში ცვლილება შევიდა. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას ანუ ის, რაც ზემოთ ვახსენეთ.

სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ტყის კონკრეტული მასივის გაჩეხვაზე ტენდერი ცხადდება. რა თქმა უნდა, ტენდერის პირობებში წერია, რომ ტყეს რეალურად სანიტარული გასუფთავება უნდა ჩაუტარდეს, ტყიდან დამპალი და გამხმარი ხეები უნდა გაიტანონ, მაგრამ მერე ისე ხდება, რომ ტენდერზე გატანილი ტყის ნაწილი მთლიანად „ხმელი და დამპალი“ აღმოჩნდება ხოლმე და იმ ადგილზე მინდორი ჩნდება. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ვალდებულება აქვს, ახალი ხეები დარგოს და რგავენ კიდეც, მაგრამ იმავე ტენდერის პირობებში, ახლად დარგული ხეების მოვლა-პატრონობაც მითითებულია, მაგრამ არავინ პატრონობს და დარგული ნერგების 80%-ზე მეტი ხმება. ჰოდა, კონკრეტული რეგიონის მოსახლეობა ხელს საკანონმდებლო ორგანოს წევრისკენ იშვერს, აქაოდა, მისი დეიდაშვილი იგებს ტენდერებს და მთები, სადაც ადრე გაუვალი ტყეები იყო, ალპურ ზონას ჰგავს, ერთი ხეც აღარ არის დარჩენილი, მთლიანად „გადაპარსულიაო“. ისიც ზუსტად ვიცით, რომ არაერთმა მოქალაქემ ცხელ ხაზზე დარეკა, იჩივლა, შველა ითხოვა, მაგრამ საბუთებით ყველაფერი წესრიგშია, ტენდერში გამარჯვებული კომპანია მუშაობს და წერტილი.

ვერ გეტყვით, სადამდე შეიძლება ყველაფერი ეს გაგრძელდეს, მაგრამ ბოლო დროს, მეწყრული უბნები რომ მომრავლდა, ფაქტია და ვერსად გავექცევით. ვერც იმას გავექცევით, რომ კანონის ძალით, ტყეები დღემდე იჭრება და ვინმეს ოფიციალურად რომ უნდოდეს ფიცრის შეძენა, თვეობით უწევს რიგში დგომა იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მოუჭრელი ტყეები გაყიდულია და აზიის ქვეყნების წარმომადგენელ ბიზნესმენებს რიგი უდგათ. დავიჯეროთ, ამის შესახებ არავინ არაფერი არ იცის და ვერც ვერავინ, ვერაფერს ხვდება?!

შეშლილი ფსიქიატრი

რატომ უპირებდა ბავშვებს მოკვლას ფსიქიატრიული საავადმყოფოს ხელმძღვანელი

ბათო ჯაფარიძე

არაერთხელ დამიწერია, რომ ადრე მოქალაქეები უფრო მეტად გულისხმიერები იყვნენ და სამოქალაქო შეგნებაც თითქოს უფრო მაღალ დონეზე იყო. გულგრილად არავინ არავის აუვლიდა გვერდს და აბსოლუტურ უმრავლესობას, კრიმინალის დანახვისას, არც მილიცია-პოლიციაში დარეკვა „უტყდებოდა“. როცა საქმე არასრულწლოვანს ეხებოდა, ხშირად საქმეში მთელი უბანი, ქალაქი თუ დაბა ერთვებოდა და ადამიანთა სიმრავლე და ერთობა ბევრ პრობლემას აგვარებდა...

სწორედ ასეთი სამოქალაქო გულისხმიერების შედეგი იყო ის, რომ უბნიდან ტყეში, სოკოს საკრეფად წასული ქალებიდან ერთ-ერთმა ხეზე მიბმული, დაახლოებით, 13-14 წლის გოგონა დაინახა. გოგონას ირგვლივ ფიჩხი ეწყო და ვიღაც კაცი ჯიუტად ცდილობდა, ფიჩხისთვის ცეცხლის მოკიდებას. ქალი მიხვდა, რომ მამაკაცს მარტო ვერ აჯობებდა, ამიტომ ბოლო ხმაზე დაიწყო კივილი და თან კაცს ქვებს ესროდა. მამაკაცი არც კი განძრეულა, ქალს ავი მზერით გახედა და ცეცხლის დანთება განაგრძო. კივილზე სხვა ქალები მოგროვდნენ და მამაკაცმაც გაქცევა ინება. სამწუხაროდ, მოგვიანებით, აბსოლუტურად ყველა ქალმა თქვა, რომ... კაცის სახე არ თუ ვერ დაიმახსოვრა. ჯერ ერთი, ტყე საკმაოდ დაბურული იყო და 10 მეტრში სახის გარჩევა გაუჭირდებოდათ და მეორეც – მამაკაცს თვალებზე ქუდი ჰქონდა ჩამოფხატებული, ნიკაპს კი საყელოში მალავდა.

„ეს კაცი სკოლასთან რამდენჯერმე დამხვდა, კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რაღაცებს მეკითხებოდა – ეს ქუჩა სად არის, ის მაღაზია შორსაა თუ ახლოს... ასე, დაახლოებით, ორი-სამი კვირა გრძელდებოდა, თითქმის ყოველ მეორე-მესამე დღეს მოდიოდა. მერე ჩემი ქუჩა მკითხა და რომ ვუთხარი, იქ ვცხოვრობ-მეთქი, მანქანაში ჩამსვა, სახლამდე მიგიყვან, შენ კიდევ გზას მასწავლიო. მერე სახეზე რაღაც ამაფარა, დამეძინა და რომ გამეღვიძა, ტყეში ხეზე ვიყავი მიბმული, ის კი ჩემს დაწვას აპირებდა“, – ეს არის ამონარიდი დაზარალებულის ნაამბობიდან.

რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა გამოძიება მააშინვე დაიწყეს, მაგრამ დამნაშავის ცხელ კვალზე დაკავება არ გამოვიდა. გოგონამ ფოტორობოტი კი შეადგენინა მხატვარს, მაგრამ შემდეგ დახედა და მოწყენით თქვა, საერთოდ არ ჰგავსო. ფსიქოლოგებმა თქვეს, რომ სავარაუდოდ, ეს შოკით იყო გამოწვეული. შესაძლოა, ყოველ ჯერზე გოგონას სხვა სახე დაენახა საკუთარ წარმოსახვაში და ასეც მოხდა. გამოძიებას, პრაქტიკულად, არაფერი ჰქონდა, ტყეში, ბალახითა და ნეშომპალით დაფარულ მიწაზე დამნაშავის კვალი არ ჩანდა, მოწმეების სიტყვებით კი, მას ხაკისფერი საწვიმარი, ნაცრისფერი შარვალი და რეზინის ჩექმები, ე.წ. ვალინკები ეცვა. მაშინ კი ნაცრისფერი შარვალი, ხაკისფერი მოსაცმელი და „ვალინკები“ აბსოლუტურად ყველა ოჯახში ინახებოდა და რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის დროს თითქმის ყველა საწვიმარი ხაკისფერი იყო, რეზინის ჩექმები კი ორი-სამი მანეთი ღირდა და ყველა ყიდულობდა.

„დაახლოებით, სამი წლის წინ, ანალოგიური შემთხვევა მოხდა. ვიღაც ცდილობდა პატარა ბიჭი სწორედ ასე დაეწვა და ცეცხლიც წაუკიდა. მართალია, ბიჭი შემთხვევითმა გამვლელებმა იხსნეს, თუმცა გვარიანად დაიწვა. შემდეგ კიდევ ერთი შემთხვევა იყო, მესამე შემთხვევა კი მისთვის ცუდად დასრულდა – ტყეში საქეიფოდ წასულმა ბიჭებმა დააკავეს და გადმოგვცეს. ფსიქიკურად ჯანმრთელი არ აღმოჩნდა, სასამართლომ ფსიქიატრიულში გაამწესა და ყველანაირი ლოგიკით, იქ უნდა იყოს. აი, თუ ფსიქიატრიულიდანაც გაუშვეს, მაშინ ზუსტად ვიცი, ვინ უნდა ვეძებოთ“, – გაიხსენა ერთ-ერთმა გამომძიებელმა და სამი წლის წინ გასამართლებული პირის ფოტოც ამოიღო პირადი საქმიდან. გადასამოწმებლად ორი ოპერმუშაკი წავიდა და...

„ფსიქიატრიულში დაგვიდასტურეს, რომ ჩვენთვის საინტერესო პიროვნება მათთან ნახევარი წლის წინ მიიყვანეს, მანამდე ის სასჯელს იმერეთში არსებულ ფსიქიატრიულში იხდიდა. ჩვენ პატიმრის ნახვა მოვითხოვეთ და როცა ოთახში შევედით, დავინახეთ მამაკაცი, რომელიც ორ მედ-ძმას ეჭიდავებოდა და უყვიროდა, ძალით ნუ მაგიჟებთ, ჭკვიანი ვარ, აქ შეცდომით მოვხვდიო. შევადარეთ ფოტოს, რომელიც პირადი საქმიდან ამოვიღეთ და მართლაც სხვა პიროვნება აღმოჩნდა“, – ეწერა ოპერმუშაკების პატაკში.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ფსიქიატრიულის ხელმძღვანელობა არაფერ შუაში იყო. მათთან მიიყვანეს პატიმარი, რომლის ფოტოც იყო საქმეში და უთხრეს, რომ ის ბავშვების ცოცხლად დაწვაში იყო ეჭვმიტანილი. ექიმები ყოველდღე ასმევდნენ დამამშვიდებლებს, მაგრამ კაცი იძახდა, გეშლებით, სხვა ვარო, თუმცა ფსიქიატრიულში ეს არავის უკვირდა. სამართალდამცავები იმ ჯგუფთან წავიდნენ, რომელსაც პატიმარი გადაჰყავდა და გაარკვიეს, რომ იმერეთიდან თბილისისკენ მიმავალ გზაზე მათ სადილობა გადაწყვიტეს, იქვე, სასადილოში შევიდნენ და უკან რომ დაბრუნდნენ, „ვარონკა“ ცარიელი დახვდათ. მიხვდნენ, ამას არავინ აპატიებდა და იქვე, სასადილოდან მთვრალი კაცი გამოიყვანეს, ჯიბეები გაუჩხრიკეს, პასპორტიდან სურათი ამოხიეს, პირად საქმეში ჩააკრეს და ფსიქიატრიულს მიაყენეს. მამაკაცი როცა გამოფხიზლდა, ყვირილი კი ატეხა, მაგრამ ვინ დაუჯერებდა? გამოდიოდა, რომ ეჭვმიტანილი, რომელიც ადრე ანალოგიურ დანაშაულზე იყო მსჯავრდებული, თავისუფლებაზე გახლდათ. მასზე ძებნა გამოცხადდა და რა თქმა უნდა, ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ ადრე თუ გვიან, დაიჭერდნენ, თუმცა...

მომხდარიდან მალევე, ერთ-ერთი კორპუსის მაცხოვრებლები სუნმა შეაწუხა, ჯერ მილიციაში დარეკეს, მერე ბინის მეპატრონეც გამოიძახეს. ბინის მეპატრონემ თქვა, დაახლოებით, 20 დღის წინ, ბინა ახალგაზრდა კაცს მივაქირავეო. კარის გახსნის შემდეგ, სამზარეულოში გარდაცვლილი კაცი იპოვეს, რომელსაც ძალადობის ნიშნები არ ეტყობოდა. მოგვიანებით, ექსპერტიზის დასკვნაში დაწერეს, რომ სავარაუდოდ, არყით მოიწამლა. არაყი მაღაზიაში ნაყიდი არ ყოფილა, ალბათ, სადმე კუსტარულად დამზადებული იყიდა და ან ბოთლი იყო ჭუჭყიანი, ან არაყი იყო ცუდი. გარდაცვლილი სამართალდამცავებისთვის საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა, სწორედ ის ძებნილი, რომელიც ფსიქიატრიულში უნდა მჯდარიყო, მაგრამ... იმავე ექსპერტიზის დასკვნით, კაცი ყველაზე ცოტა, ათი დღის გარდაცვლილი გახლდათ, დანაშაული კი, რომელსაც იძიებდნენ, ერთი კვირის მომხდარი იყო. გამოდიოდა, გარდაცვლილი არაფერ შუაში ყოფილა, რის გამოც ძიება აშკარა ჩიხში შევიდა, თითქოს გამოსავალიც არსად ჩანდა, რადგან სხვა ეჭვმიტანილი არ არსებობდა.

მალე ვიღაცამ კიდევ ერთი ბავშვის გატაცება სცადა, ამჯერად, ბიჭის, მაგრამ ხელიდან დაუსხლტა, მერე ისევ გოგონა გაიტაცეს, თუმცა ამჯერად, მეტყევე გადააწყდა შემთხვევით და დამნაშავეს ისევ ხელი მოეცარა. გამომძიებლებს ბავშვების ფოტოები წინ ედოთ და ცდილობდნენ, მათ შორის რამე კავშირი ენახათ, მაგრამ უიმედოდ იჩეჩდნენ მხრებს – ისინი ერთმანეთს არათუ იცნობდნენ, ერთ სკოლაშიც არ დადიოდნენ, უბნელებიც არ იყვნენ და ასაკიც თითქოს განსხვავებული ჰქონდათ – 13, 15 და 16 წელი ანუ დამნაშავე მათ არც ასაკის, არც უბნის, არც სკოლის და არც სქესის მიხედვით არ ირჩევდა, მაგრამ რაღაც პრინციპით ხომ მოქმედებდა? აი, ეს პრინციპი უნდა ეპოვათ სამართალდამცავებს და დანაშაულიც გაიხსნებოდა.

„არის!“ – შევარდა განყოფილებაში ერთ-ერთი ოპერმუშაკი და ხელში ფურცელი შეათამაშა, „არის, აქვთ საერთო“, – კვლავ გაიმეორა მან და მაგიდაზე დადებული გრაფინიდან იმდენი წყალი დალია, სანახევროდ დაცალა. როგორც გაირკვა, სხვადასხვა პერიოდში, სამივე გატაცებულს სუიციდის მცდელობა ჰქონდა, ოღონდ ისე, მსუბუქ ფორმებში ანუ რეალურად, თავის მოკვლაზე მეტად, სავარაუდოდ, მშობლების ყურადღების მიქცევა, ან შეშინება უნდოდათ. გოგონამ წამლები დალია, ბიჭმა ყულფში მაშინ გაჰყო თავი, როცა ოთახში დედა შევიდა, მესამე ფანჯრის რაფაზე იდგა და გადახტომით იმუქრებოდა... ასეთი ბავშვები მაშინ აღრიცხვაზე აჰყავდათ და ცდილობდნენ, სხვანაირი ყურადღება მიექციათ, უფრო მეტად ჩაერთოთ საზოგადოებრივ საქმიანობაში, მეტად წაეხალისებინათ და საზაფხულო ბანაკებში ურიგოდ ეტარებინათ, რაც თითქმის ყოველთვის ამართლებდა. ის, რომ ბავშვები თავის მოკვლას ცდილობდნენ, ვიღაცამ ზუსტად იცოდა, მაგრამ ვინ?!

მალე გაირკვა, რომ სამივე ბავშვთან ცალ-ცალკე ფსიქიატრი მუშაობდა, სხვადასხვა კლინიკაში და მათ ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდათ, მაგრამ იყო ცენტრალური კლინიკა, სადაც ყველა ბავშვის ანკეტა მიდიოდა და იქიდან ანაწილებდნენ. კლინიკას ახალგაზრდა კაცი ხელმძღვანელობდა, რომელიც აღნაგობით, აშკარად ჰგავდა მოწმეების მიერ დანახულ პიროვნებას. მასზე, უბრალოდ, თვალთვალი დაიწყეს და სწორედ მაშინ ჩაავლეს, როცა სკოლასთან ერთ-ერთ მოსწავლეს ესაუბრებოდა. იმ ბავშვსაც სუიციდის მცდელობა ჰქონდა.

„წარმოდგენა არ გაქვთ ფსიქიატრიასა და ბავშვებზე. მათ არაფერი უნდა დაუშალოთ და თუ სიკვდილი უნდათ, ამაში უნდა დაეხმაროთ. სწორედ ამას ვაკეთებდი და თქვენ ხელი შემიშალეთ. რაც შეეხება მეთოდს, ადრე ჩამივარდა ხელში ერთი ისტორია, როცა კაცი შეშლილად სცნეს და, უბრალოდ, მას მივბაძე. ვიფიქრე, ამით კვალსაც ავრევდი და თავად მეთოდიც საინტერესო იყო“, – განაცხადა დაკავებულმა.

სამედიცინო ექსპერტიზამ ეჭვმიტანილი შერაცხადად სცნო და სავარაუდოდ, მაქსიმალურ სასჯელს (15 წელს) მიუსჯიდა, მაგრამ არ დასცალდა – მისი ექსტრადაცია მოსკოვმა მოითხოვა, აქაოდა, კვლევებისთვის გვჭირდება და მას შემდეგ, ის არავის უნახავს.

ბათო ჯაფარიძე

ყოველთვის არსებობს ვიღაც, ვინც, უბრალოდ, არ მოგვწონს. არიან ადამიანები, ნაცნობები, მეზობლები, თანამშრომლები, რომლებთანაც საერთო ვერ გამოვნახეთ. მართალია, არაფერს ვერჩით, მაგრამ რაღაც მაინც არ გვიზიდავს მათში და არც დანახვა გვსიამოვნებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ადამიანებზე შური უნდა ვიძიოთ, ჩვენც არ ვართ ყველასთვის იდეალური და არიან ადამიანები, რომლებსაც ჩვენც არ მოვწონვართ.

„მე ვარ მანიაკი!“

გაუპატიურებების სერია თბილისში და მოძალადის საბედისწერო სუნამო

თბილისის ერთ-ერთ უბანში იმ დროისთვის უცნაური რამ მოხდა – სადარბაზოში ქალი გააუპატიურეს. უცნაური იმიტომ, რომ ასეთი მძიმე დანაშაულები მაშინ არ ხდებოდა, გაუპატიურება სამართალდამცავი უწყებისთვისაც ძალიან ცუდი სტატისტიკა იყო და საქმეს დროზე თუ არ გამოიძიებდნენ, კარგი არავის არაფერი ელოდა. სანამ ოპერმუშაკები მოძალადეს ეძებდნენ, განყოფილებაში კიდევ ერთი ქალი მივიდა და ტირილით მოყვა, რომ ისიც გააუპატიურეს. ქალი ამბობდა, ქმარ-შვილი მყავს, იმათმა არ უნდა გაიგონ, მაგრამ არ მინდა, დამნაშავე გარეთ დადიოდეს, სხვებსაც საფრთხე ემუქრებათო. ძალოვნები არც ისე აკლებდნენ ცდას და მეორე ფაქტის შემდეგ, პრაქტიკულად, ყაზარმულზე გადავიდნენ.

ორივე შემთხვევა სადარბაზოში მოხდა და ორივე შემთხვევის დროს, შუქი გათიშული იყო ანუ დამნაშავე ელექტროობაშიც ერკვეოდა და ზუსტად იცოდა, საიდან და როგორ გაეთიშა დენი. სამწუხაროდ, ვერცერთმა მსხვერპლმა სიბნელეში თავდამსხმელის ვერც სახე გაარჩია და ვერც თმის ფერი, ისინი ამბობდნენ, რომ მოძალადე მაღალი და ფიზიკურად ძლიერი იყო. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, სამართალდამცავებმა კარტოთეკას ჩახედეს და აღმოაჩინეს, რომ იმ უბანში მცხოვრები ერთ-ერთი პიროვნება ორი თვის წინ გათავისუფლდა და ის სასჯელს გაუპატიურებაზე იხდიდა. უბნის რწმუნებულმა თქვა, მაღალი და ფიზიკურად ძლიერიაო და ოპერმუშაკებსაც ბევრი არ უფიქრიათ, განყოფილებაში ბორკილდადებული მიიყვანეს.

„დავიწყოთ იმით, რომ მე გაუპატიურება შემტენეს. ერთ-ერთი გავლენიანი კაცის შვილს ვხვდებოდი, მერე კი, მეზობლის გოგო შემიყვარდა. იმ ქალმა ვერ აიტანა ეს, ცოლობას არასდროს დავპირებივარ, მით უმეტეს, ჩემამდე ბევრი საყვარელი ჰყავდა და დარწმუნებული ვიყავი, ჩემს მერეც ბევრს იშოვიდა, თუმცა მან სხვაგვარად გადაწყვიტა, გამოსამშვიდობებელი საღამო მოვაწყოთო და ჩემთან ცოტა დავლიეთ, მერე დავწექით და რომ გამოვფხიზლდი, უკვე განყოფილებაში ვიყავი. ბრალი გამაცნეს, თურმე, ის ქალი გავაუპატიურე, სინამდვილეში კი, საძილე აბები ჩამიყარა და გამთიშა, სახეც თავად დაიზიანა, ჩალურჯებებიც მისი იყო, მაგრამ მის სხეულში ჩემი სპერმა იპოვეს, ხელებზეც მისი სისხლი მეცხო და ციხეში გამიშვეს. იქ კი შემემთხვა ის, რამაც მთელი ცხოვრება დამინგრია – სახერხზე ვმუშაობდი, ხერხი დანადგარიდან ამოვარდა, პირდაპირ მე მომხვდა და საზარდულის ნაწილი წამაჭრა. გაუპატიურება კი არა, სქესობრივი აქტიც უზარმაზარ ტკივილს მაყენებს და ვერც ვახერხებ ამის გაკეთებას“, – განაცხადა დაკავებულმა და შესაბამისმა ექსპერტიზამ მისი სიტყვები დაადასტურა. გამორიცხული გახლდათ, მოძალადე ის ყოფილიყო. სამართალდამცავები იძულებული გახდნენ, დაკავებული გაეთავისუფლებინათ, სხვა ეჭვმიტანილი კი... უბრალოდ, არ ჰყავდათ.

გვირაბის ბოლოს სინათლე მას შემდეგ გამოჩნდა, რაც იმავე უბანში, ერთ-ერთ ბინაში მცხოვრებმა ქალმა დარეკა, ზუსტად ვიცი, ვინ არის მოძალადე, მაგრამ შიშით გარეთ ვერ გამოვდივარ და შინ თუ მომაკითხავთ, მის ვინაობას გაგიმხელთო.

„მე ასაკში ვარ და რა თქმა უნდა, არ მაქვს ილუზია, რომ ვინმე ჩემს გაუპატიურებას მოინდომებს, მაგრამ სოფლიდან, დისშვილიშვილი გოგონა იყო ჩამოსული სამკურნალოდ, ათი დღე იცხოვრა ჩემთან და გუშინ დილით წავიდა. ღამით, რაღაც ხმაურმა გამაღვიძა, მერე მივხვდი, ბინაში ვიღაც დადიოდა. შიშით კინაღამ გული გამისკდა, ლოგინის ქვეშ შევძვერი და გავისუსე. ის ვიღაც ჯერ ერთ ოთახში შევიდა, მერე – მეორეში, მერე ჩემს საძინებელში, რაღაც ჩაიბურდღუნა და წავიდა. სახე არ დამინახავს, თუმცა არყისა და ნივრის ისეთი სუნი დატოვა, მივხვდი, ჩვენი მეზობელი იყო, ეგ ყარს მუდმივად ასეთი სუნით და რაც მთავარია, „ელექტრიკოსად“ მუშაობს. ხომ ამბობენ, მანიაკმა ელექტროობა იცისო? დარწმუნებული ვარ, ჩემი დისშვილიშვილი ეგულებოდა აქ და რომ ვერ იპოვა, იმიტომ წავიდა“, – განაცხადა ქალმა.

მის მიერ დასახელებული პიროვნება სამსახურში დაიკავეს. კაცს თავიდან ძალიან გაუკვირდა, მერე კი თავი ჩაღუნა და ჩუმად თქვა, ვაღიარებ, გუშინ სისულელე ჩავიდინეო.

„ღამით ნასვამი დავბრუნდი, სართულები სწორად ვერ დავთვალე და კარის სახელური მეზობელთან ჩამოვწიე. ჩემს ქვევით ცხოვრობს, მოხუცი ქალია. შეასასვლელი არ მეცნო, ვიფიქრე, სიმთვრალის ბრალია-მეთქი, მერე სამზარეულო არ მეცნო, მერე ოთახები მოვიარე და როცა მივხვდი, რომ სხვაგან ვიყავი, კარი გამოვიხურე და ჩემს სახლში ავედი. ბოდიში, რომ შევაშინე, მაგრამ რა წესია, კარის ღია დატოვება? კარი რომ დაკეტილი ყოფილიყო, ასე არ მოხდებოდა“, – განაცხადა დაკავებულმა და როცა გაიგო, რომ მანიაკად მას თვლიდნენ, გადაირია, ეგ როგორ მაკადრეთო. მიზეზიც ჰქონდა, როცა პირველი გაუპატიურება მოხდა, ის სოფელში ძმასთან იყო, ძმამ ღორი დაკლა და სამი დღე არ გამოფხიზლებულა. ეს უტყუარი ალიბი გახლდათ, რომლის გამოც დაკავებული გაათავისუფლეს, მოხუც ქალს კი ურჩიეს, რომ ღამით კარი ჩაეკეტა. თანაც, ორი დაზარალებული ქალიდან, ორივემ დაადასტურა, რომ თავდამსხმელს არყისა და ნივრის სუნი არ ასდიოდა, პირიქით, ძვირადღირებული სუნამოს სასიამოვნო სურნელი ჰქონდაო.

განყოფილებაში კიდევ ერთი ქალი მივიდა და განაცხადა, რომ მასაც თავს დაესხნენ, სწორედ მაშინ, როცა სადარბაზოში შუქი არ იყო, მაგრამ სრულიად შემთხვევით, იმ დროს, სადარბაზოში სხვა ქალიც შემოვიდა და თავდამსხმელი გაიქცა. სამაგიეროდ, დაზარალებულმა ზუსტად დაასახელა ის სუნამო, რომელიც თავდამსხმელს ესხა და ისიც დააყოლა, ჩემი ქმარი ხმარობს და სუნი ამიტომაც მეცნოო. ეს ძალიან კარგი სამხილი იყო, რადგან აღნიშნული სუნამო ყველგან არ იყიდებოდა და მისი სიძვირის გამო, არც ბევრისთვის იყო ხელმისაწვდომი. პირველ რიგში, სწორედ დაზარალებულის ქმარი გადაამოწმეს. იმის მიუხედავად, რომ ერთი შეხედვით, აბსურდული იყო, კაცს ცოლი გაეუპატიურებინა, მაგრამ მეორე მხრივ, ამით შეიძლებოდა, სურვილი ჰქონოდა, საკუთარი ბრალეულობა გამოერიცხა. მამაკაცს მყარი ალიბი აღმოაჩნდა და ამიტომ, სამართალდამცავებმა ის მაღაზიები დაიარეს, სადაც აღნიშნული სუნამო იყიდებოდა და ცდილობდნენ, გაერკვიათ, ხომ არ იყო ვინმე ისეთ მყიდველი, ვისაც იცნობდნენ და რაც მთავარია, ის აუცილებლად იმ უბნიდან უნდა ყოფილიყო, სადაც დანაშაულები ხდებოდა. გამყიდველები უიმედოდ შლიდნენ ხელებს, მხოლოდ ორმა გაიხსენა მამაკაცი, რომელიც აღნიშნულ სუნამოს ყიდულობდა, მაგრამ მათი აღწერილობა არც მოძალადის აღნაგობას ემთხვეოდა და ისინი არც იმ უბნიდან იყვნენ.

მალე მორიგი დანაშაული მოხდა, თუმცა ამჯერად, გაუპატიურებასთან ერთად, მსხვერპლი სასტიკად იყო ნაცემი და ექიმები გადარჩენის გარანტიასაც ვერ იძლეოდნენ. გოგონას თავი ბეტონის იატაკზე არტყმევინეს, რის გამოც, თავის ქალის ძვლები ჰქონდა დამტვრეული. ექიმმა ისიც თქვა, რომც გადარჩეს, დიდი შანსია, აზროვნება ვერ შეძლოსო. გამომძიებლებმა ივარაუდეს, რომ გოგონამ თავდამსხმელი დაინახა, იცნო და სასიკვდილოდაც ამიტომ გაიმეტეს. აქედან გამომდინარე, მისი პალატის კართან ერთი ჩანჩურა ოპერმუშაკი დააყენეს, უშუალოდ პალატაში – გამოცდილი თანამშრომლები და უბანში „გააბაზრეს“, დაზარალებული აზრზე მოვიდა და ორ-სამ დღეში, ჩვენებას მისცემსო. სამართალდამცავები მოუთმენლად ელოდნენ, რას მოიმოქმედებდა დამნაშავე. თუ ის არ გამოჩნდებოდა, გამოვიდოდა, რომ გოგონამ არაფერი იცოდა, მაგრამ თუ დამნაშავე დაინახა...

მეორე დილით, პალატაში „ახალი ექიმი“ შევიდა. „ჩანჩურა“ ოპერმუშაკმა ის მარტივად გაატარა, თუმცა პალატაში, მეორე საწოლის ქვეშ დამალული ოპერები მაშინ გამოვარდნენ საფარიდან, როცა „ექიმმა“ მომაკვდავ პაციენტს სასუნთქი მილი გადაუკეტა. ეჭვმიტანილი მაშინვე დააკავეს და როცა განყოფილებაში გამომძიებელთან მიიყვანეს, მას გაეღიმა – სუნამოს სუნი კარგად იგრძნობოდა და ესეც არ იყოს, დაკავებული ყველაფრის მოყოლას რომ აპირებდა, სახეზე ეტყობოდა.

„ბოლო მსხვერპლი ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ ის მუდმივად გამირბოდა. არადა, სკოლა და უმაღლესი კარგად დავამთავრე, კარგი სამსახური ვიშოვე და ცოლობაც ვთხოვე. იცით, რა მითხრა? მე არ მჭირდება შენნაირი ქმარი, ჩემი ქმარი ძლიერი უნდა იყოს, ირგვლივ ყველას შიშის ზარს სცემდეს, შენ კიდევ, შენი ჩრდილისაც გეშინიაო. ამან ძალიან გამაცოფა, მაგრამ ფიქრი დავიწყე და უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე. ხომ ნახეთ, მთელი უბანი შიშის ქვეშ იყო, ყველას ეშინოდა და სწორედ ამის სათქმელად მივედი, ვუთხარი, მე ვარ ის მანიაკი და როგორც კი ცოლად გამომყვები, ყველაფერი დასრულდება, სამაგიეროდ, გეცოდინება, რომ შიშის ზარს მთელ უბანს მე ვცემდი-მეთქი. ნათქვამმა ისე გააბრაზა, ხელითაც კი შემეხო, ნაძირალა და არაკაცი მეძახა. ვეღარ მოვითმინე და ისიც გავაუპატიურე, თან თავს ვარტყმევინებდი, რომ ტკივილი ეგრძნო. მეგონა, მოკვდა, მაგრამ გუშინ უბანში თქვეს, ჩვენების მიცემას აპირებსო და ამას ვერ დავუშვებდი. მით უმეტეს, ის ჩემი ბოლო მსხვერპლი იყო, მეტს აღარ ვიზამდი“, – თქვა დაკავებულმა.

სასამართლომ მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, გოგონა კი გადარჩა და ექიმების გასაოცრად, სრული რეაბილიტაცია ორ წელიწადში დაასრულა.

ვახტანგ გომელაურმა ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა რუსთავში, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა. შეხვედრას ესწრებოდა მინისტრის პირველი მოადგილე – შალვა ბედოიძე.

ვახტანგ გომელაურმა რეგიონის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირებისგან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

შეხვედრაზე დანაშაულის რაოდენობის კლების, ასევე, გახსნის სტატისტიკა განიხილეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თანამშრომლებთან უწყების პრიორიტეტული მიმართულებებიც განიხილა და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მათ შესაბამისი დავალებები მისცა.

სამუშაო თათბირზე, ასევე, აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს პოლიციელებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. მინისტრმა დეპარტამენტის თანამშრომლებს გაწეული ეფექტიანი საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

კახეთის პოლიციამ ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერისთვის 1 პირი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის 30 მარტს, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბ.ძ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბ.ძ.-ს პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, რევოლვერი და 5 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს. პოლიციის მიერ ასევე, ნივთმტკიცებად ამოღებულია მობილური ტელეფონი, რომლის საშუალებითაც გამოიკვეთა, რომ ბრალდებული კავშირში იყო ქურდული სამყაროს წევრებთან და მათი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით დანაშაულებრივ საქმიანობას ახორციელებდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული უკავშირდებოდა საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“, აქტიურად მონაწილეობდა პირადი კონფლიქტებისა თუ ფინანსური დავების „ქურდული წესით“ გადაწყვეტაში.

აღნიშნულ საქმეზე ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბ.ძ.-ს ბრალი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე ტერცია მუხლის მეორე ნაწილით წარედგინა, რაც „ქურდული სამყაროს'' საქმიანობის მხარდაჭერას გულისხმობს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღო – დაკავებულია 8 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 8 პირი დააკავეს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებულია უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ო. დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად რევოლვერი ამოიღო.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს და დეტექტივების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ი.მ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო პისტოლეტი, 2 მჭიდი და 16 ვაზნა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1983 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს. სამართალდამცველებმა გ.გ.– ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ხელყუმბარა და ამფეთქი ფალია .

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოსა და ამავე დეპარტამენტის დეტექტივების მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევი, ძებნილი პირი – 1996 წელს დაბადებული რ.შ. დააკავეს. სამართალდამცველებმა რ.შ. – ს დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და ვაზნები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1978 წელს დაბადებული მ.დ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 4 ვაზნა.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1967 წელს დაბადებული გ.კ. დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსოების ჩხრეკისას პისტოლეტი და 5 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა 1979 წელს დაბადებული გ.თ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1978 წელს დაბადებული ზ.ფ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის ავტომობილის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად გადაჭრილი სანადირო თოფი ამოიღო.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის, ასევე, ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

19-დან 31 აგვისტომდე უკანონო ნადირობის 97 ფაქტი გამოვლინდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ნადირობის სეზონის დაწყებიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, უკანონო ნადირობის 97 ფაქტი გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, უკანონო ნადირობის ყველაზე მეტი – 30 ფაქტი დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთში. 26 ფაქტია გამოვლენილი იმერეთში, 11 – სამეგრელო-ზემო სვანეთში, 10 – შიდა ქართლში, 7 – კახეთში, ასევე 7 ფაქტია აღკვეთილი სამცხე-ჯავახეთში, 3-3 ფაქტი კი დაფიქსირდა ქვემო ქართლსა და აჭარაში.

„გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან, 45 ნადირობის წესების დარღვევის ფაქტია, 15 შემთხვევაში მონადირეებმა სანადირო იარაღების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ წარმოადგინეს, 3 შემთხვევაში სამართალდამრღვევები, აკრძალული იარაღით ან მეთოდით ნადირობდნენ და ა.შ.

დაფიქსირდა უკანონო საშუალებით, ხელნაკეთი მოწყობილობით (ე.წ. მანოკი) ნადირობის ფაქტებიც. ნადირობის სეზონის დაწყებიდან 12 დღის განმავლობაში, სულ ამოღებულია 51 „მანოკი“.

უკანონო ნადირობის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, ნადირობის სეზონის განმავლობაში (მომდევნო წლის 1 მარტამდე), საქართველოს მასშტაბით 24-საათიან გაძლიერებულ კონტროლს ახორციელებენ. დეპარტამენტი მოქალაქეებს მოუწოდებს, კანონდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, დარეკონ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე – 153 (ინდექსის გარეშე, ზარი უფასოა, ანონიმურობა დაცულია), რათა შესაბამისმა რეგიონულმა სამმართველომ მყისიერი რეაგირება მოახდინოს“, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შსს-მ ქობულეთის მერიის თანამშრომელი ქალის ცემის ფაქტზე დააკავა

ქობულეთის მერიის თანამშრომელი ქალის ცემის ფაქტზე შინაგამ საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს. ადგილობრივების ინფორმაციით, ქობულეთის მერიის წარმომადგენელმა, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა, სოფელ ლეღვაში ერთ-ერთი მაღაზიის თანამშრომელ ქალზე ფიზიკურად იძალადა.

მომხდარის გამო, დაზარალებულმა ქალმა შესაბამის უწყებებს მიმართა.

არსებული ინფორმაციით, მომხდარის შემდეგ ქობულეთის მერიის თანამშრომელი სამსახურიდან გათავისუფლებულია.

საქართველომ მეორე ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. ჩვენი გუნდი პირველი ჯგუფური ეტაპიდან კი გავიდა, მაგრამ მეორე ჯგუფურ ეტაპზე ვერაფერი მოუხერხა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ გერმანიას, რომელთანაც უშანსოდ წააგო და პლეი-ოფში გასვლის შანსები გაანულა. თავის მხრივ, მეორე ჯგუფურ ეტაპზე, ჩვენი ჯგუფის ბინადარმა სლოვენიამ ავსტრალია დაამარცხა და ჩვენს დარად, მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებიც ჯგუფში ჩარჩნენ.

ახლა, საქართველოს ნაკრებს 9-16 ადგილებისთვის მოუწევს ბრძოლა. მიუხედავად ამ შედეგისა, თამამად შეგვიძლია, საქართველოს ნაკრების გამოსვლა მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებულად შევაფასოთ. ჯერ ერთი, იქ პირველად მოვხვდით და მეორეც – ჯგუფიდან გავედით. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში, ყოველ ოთხ წელიწადში, 1950 წლიდან ტარდება. ჩემპიონობის მოპოვება დღემდე, მხოლოდ ექვსმა ქვეყანამ მოახერხა და ამ ექვსიდან ორი აღარ არსებობს. სხვადასხვა დროს, მსოფლიოს ჩემპიონები ამერიკა, ესპანეთი, ბრაზილია, არგენტინა, სსრკ და იუგოსლავია გამხდარან.

ანდრი დემჩენკოს 10 000 შესთავაზეს

მას შემდეგ, რაც ანდრი დემჩენკო გორის „დილადან“ წავიდა და სათავეში ბათუმის „დინამოს“ ჩაუდგა, შიდა ქართლური კლუბის გულშემატკივრები ვერ დამშვიდნენ და კლუბის ხელმძღვანელობას ღიად ადანაშაულებენ, რომ მათ ვერ მოახერხეს და კვალიფიციური მწვრთნელი ვერ შეინარჩუნეს. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ „დილას“ შეფობა იძულებული გახდა, სოციალურ ქსელში, კლუბის ოფიციალურ გვერდზე, შემდეგი შინაარსის განცხადება გაევრცელებინა:

„ძვირფასო გულშემატკივრებო! მოგეხსენებათ, რომ ანდრი დემჩენკო გორის „დილას“ აღარ გაწვრთნის. გვსურს, განვმარტოთ, ჩვენმა კლუბმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ანდრი დემჩენკო კლუბში დარჩენილიყო. კლუბმა მთავარ მწვრთნელს, ჩვენი კლუბისთვის რეკორდული ხელფასი – 10 000 აშშ დოლარის ოდენობით შესთავაზა, რადგან სეზონისთვის მნიშვნელოვანი მიზნები გვაქვს დასახული და მისი შენარჩუნება კლუბისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ჩვენი დიდი იმედგაცრულების მიუხედავად, ანდრი დემჩენკომ გადაწყვიტა, წასულიყო კონკურენტ გუნდში და კლუბი დაეტოვებინა შუა სეზონში.

ჩვენი კლუბი მადლობას უხდის ანდრი დემჩენკოს, წლების განმავლობაში გაწეული სამსახურისთვის, წარმატებებისა და კლუბის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის. ვიმედოვნებთ, რომ კლუბში ანდრი დემჩენკოს კარიერის უეცარი დასრულების მიუხედავად, ჩვენს გულშემატკივრებთან ერთად, შევძლებთ ამ პერიოდის გადალახვას და ჩვენი მიზნებისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ“.

ოფიციალურად არ ხმაურდება, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, ახალ გუნდში დემჩენკოს ჯამაგირი თვეში 50 000 ლარი იქნება, რაც დაახლოებით, 19 ათასი აშშ დოლარია ანუ ბათუმის „დინამომ“ ორჯერ მეტი გადაიხადა და „დილას“ მწვრთნელი წაჰგვარა. შეგახსენებთ, რომ დემჩენკოსთან ერთად, გუნდის ლიდერი, ტიერი გეილიც წავიდა. ის ვენის „რაპიდში“ ითამაშებს, მის სანაცვლოდ კი, „დილამ“ 800 ათასი ევრო მიიღო.

საბა საზონოვი „ტორინოს“ ფეხბურთელია

აი, რას ნიშნავს, როცა ამა თუ იმ ტოპ-ლიგაში ქართველი ფეხბურთელი კარგად თამაშობს. საკმარისი იყო, ხვიჩა კვარაცხელიას ერთი საუცხოო სეზონი ჩაეტარებინა და იტალიური კლუბების მხრიდან, ქართველ მოთამაშეებზე ინტერესი გაიზარდა. ჯერ იყო და, გიორგი კვერნაძე წაიყვანა „ფროზინონემ“, ახლა კი, საბა საზონოვი იყიდა „ტორინომ“. ტურინულმა კლუბმა, საბას აწ უკვე ყოფილ გუნდს, მოსკოვის „დინამოს“ 3 მილიონი ევრო გადაუხადა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტოპ-ლიგებში ფეხბურთელები გვემატება და გამორიცხულია, ასეთ დონეზე ასპარეზობა ეროვნულ ნაკრებზე არ აისახოს. იმედია, სწორედ ამ ფეხბურთელების ხარჯზე მოვახერხებთ და ჩვენი ნაკრები ასე ნანატრ, ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპაარეზებს. საზონოვი ახალ გუნდში 15-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

წილი ნაყარია – ჩემპიონთა ლიგა სუპერ-მატჩებით გვიბრუნდება

19-20 სექტემბერს, ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონის პირველი მატჩები გაიმართება. ჯგუფურ ეტაპზე, თითქოს, უინტერესო შეხვედრებია, მაგრამ მონაკოში გამართული კენჭისყრის შემდეგ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიგა რამდენიმე სუპერ-მატჩით ჯგუფურ ეტაპზევე გაგვანებივრებს. ჩვენთვის საინტერესო, რაღა თქმა უნდა, „ნაპოლი“, „კოპენჰაგენი“ და „შახტარია“ ანუ კლუბები, სადაც საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები თამაშობენ. იოლი ჯგუფი არც ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლის“ ერგო, არც გიორგი გოჩოლეიშვილისა და ირაკლი აზაროვის „შახტარს“ და არც დავით ხოჭოლავას „კოპენჰაგენს“. თუ გახსოვთ, გასული სეზონის ბოლოს, მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრები, კლუბის ხელმძღვანელობას კვარაცხელიას შეძენას სთხოვდნენ. ჰოდა, კვარას გუნდი ჯგუფში „რეალთან“ ერთად მოხვდა და ახლა მადრიდული პუბლიკა ცოცხლად იხილავს, ვინ არ შეიძინა მათი კლუბის პრეზიდენტმა. მოკლედ, ჯგუფები შემდეგნაირად გადანაწილდა:

A ჯგუფი:
ბაიერნი (გერმანია);
მანჩესტერი (ინგლისი);
კოპენჰაგენი (დანია);
გალათასარაი (თურქეთი).

B ჯგუფი:
სევილია (ესპანეთი);
არსენალი (ინგლისი);
პსვ (ჰოლანდია);
ლანსი (საფრანგეთი).

C ჯგუფი:
ნაპოლი (იტალია);
რეალი (ესპანეთი);
ბრაგა (პორტუგალია);
უნ. ბერლინი (გერმანია).

D ჯგუფი:
ბენფიკა (პორტუგალია);
ინტერი (იტალია);
ზალცბურგი (ავსტრია);
სოსიედადი (ესპანეთი).

E ჯგუფი:
ფეიენოორდი (ჰოლანდია);
ატლეტიკო (ესპანეთი);
ლაციო (იტალია);
სელტიკი (შოტლანდია).

F ჯგუფი:
პსჟ (საფრანგეთი);
დორტმუნდი (გერმანია);
მილანი (იტალია);
ნიუკასლი (ინგლისი).

G ჯგუფი:
მანჩესტერ სიტი (ინგლისი);
ლაიპციგი (გერმანია);
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი);
იანგ ბოიზი (შვეიცარია).

H ჯგუფი:
ბარსელონა (ესპანეთი);
პორტუ (პორტუგალია);
შახტარი (უკრაინა);
ანტვერპენი (ბელგია).

I ტური – 19-20 სექტემბერი;
II ტური – 3-4 ოქტომბერი;
III ტური – 24-25 ოქტომბერი;
IV ტური – 7-8 ნოემბერი;
V ტური – 28-29 ნოემბერი;
VI ტური – 12-13 დეკემბერი.

ფინალი 2024 წლის 1 ივნისს, „უემბლიზე“ შედგება.

ეს უკვე ომია – კვარაცხელიას „ნაპოლიში“ საქმეები აერია

არაერთმა იტალიელმა ჟურნალისტმა დაწერა, რომ კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლააურენტისი ხვიჩა კვარაცხელიას ცუდად ექცევა და ეს არასწორია. საქმე ის გახლავთ, რომ იტალიის ჩემპიონატის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, არათუ გუნდში, არამედ მთელ იტალიაში ერთ-ერთი, ყველაზე დაბალანაზღაურებადია და ეს მაშინ, როცა მაგალითად, ინგლისური „ნიუკასლი“ მზად იყო, ხელფასის სახით, ხვიჩასთვის წელიწადში 10 მილიონი გადაეხადა. 10 მილიონი, კვარას ამჟამინდელ ჯამაგირთან – 1.2 მილიონ ევროსთან, ძალიან სოლიდურად ჩანს. რაც მთავარია, კლუბის სხვა ფეხბურთელები პრეზიდენტისგან ხელფასის გაზრდას ითხოვენ, აქაოდა, ჩემპიონები გავხდით და მათხოვრულ ჯამაგირზე გვათამაშებო, თუმცა დე ლაურენტისი მხოლოდ კვარას გაუბრაზდა. როგორც იტალიური მედია წერს, კვარაცხელიასთან კონტრაქტის პირობების გადახედვის შესაძლებლობა არის, მაგრამ დე ლაურენტისს ფეხბურთელის აგენტის, მამუკა ჯუღელის წინადადება არ მოსწონს. ჯუღელი ითხოვს, რომ ხვიჩას გამოსასყიდი ფასი 90 მილიონი ევრო იყოს და არა 150 მილიონი, რომელსაც დე ლაურენტის ითხოვს. „ნაპოლის“ შეფმა კარგად იცის, რომ 90 მილიონად, შესაძლოა, კვარა ზამთარშივე წაართვან და ამიტომ, გამოსასყიდ ფასს მაქსიმალურად ზრდის. იტალიელები იმასაც წერენ, რომ რუდი გარსიამ ახალი სეზონის სადებიუტო მაატჩში კვარაცხელია სათადარიგოთა შორის, სწორედ დე ლაურენტისთან უკმაყოფილობის გამო დასვა და ამით თან პრეზიდენტს ასიამოვნა, თან ფეხბურთელსა და მის აგენტს მიანიშნა, შემიძლია, ხვიჩა

საერთოდ არ ვათამაშოო. წესითა და რიგით, ყველაფერი სანაკრებო პაუზის დროს უნდა გაირკვეს ანუ მაშინ, როცა საკლუბო ფეხბურთი მიიძინებს და კლუბების ხელმძღვანელობაც მოცლით იქნება.

საფეხბურთო ნაკრები ორი მატჩისთვის მზადებას იწყებს

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები, 8 და 12 სექტემბერს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, ორ შეხვედრას გამართავს. 8 სექტემბერს, ჩვენი გუნდი, „დინამო არენაზე“, ესპანეთს უმასპინძლებს და შეხვედრა 20.00 საათზე დაიწყება, ხოლო 12 სექტემბერს, სტუმრად ნორვეგიას ვეთამაშებით. ეროვნული ნაკრების თავკაცმა, ვილი სანიოლმა, ამ მატჩებისთვის ნაკრებში შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), გიორგი ლორია („დინამო“ თბილისი), ლუკა გუგეშაშვილი („ყარაბახი“, აზერბაიჯანი);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), ლაშა დვალი („აპოელი“, კვიპროსი), საბა კვირკველია („ალ ახდუდი“, საუდის არაბეთი), ირაკლი აზაროვი, გიორგი გოჩოლეიშვილი (ორივე „შახტარი“, უკრაინა), ვლადიმერ მამუჩაშვილი („დინამო“ ბათუმი), სანდრო კალანდაძე („დინამო“ თბილისი), საბა საზონოვი („ტორინო“ იტალია);

ნახევარმცველები: ოთარ კიტეიშვილი („შტურმი“, ავსტრია), საბა ლობჟანიძე („ატლანტა იუნ.“, აშშ), გიორგი ჩაკვეტაძე („უოტფორდი“, ინგლისი), გიორგი ქოჩორაშვილი („ლევანტე“, ესპანეთი), ანზორ მექვაბიშვილი („დინამო“ თბილისი), ლუკა გაგნიძე („დინამო“ მოსკოვი, რუსეთი), გიორგი აბურჯანიაა („ჰათაისპორი“, თურქეთი), გიორგი წიტაიშვილი („დინამო“ ბაათუმი)

თავდამსხმელები: ზურიკო დავითაშვილი („ბორდო“, საფრანგეთი), გიორგი მიქაუტაძე („აიაქსი“, ჰოლანდია), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია), ბუდუ ზივზივაძე („კარლსრუე“, გერმანია).

მორაგბეები მსოფლიოსთვის დაირაზმნენ

9 სექტემბერს, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები, მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობას ავსტრალიის უძლიერეს გუნდთან მატჩით იწყებს. „ბორჯღალოსნებმა“ ტესტ-მატჩები დაასრულეს და ინტენსიურ ვარჯიშებზე არიან გადასულნი. გუნდის თავკაცმა, ლევან მაისაშვილმა უკვე დაასახელა ის მორაგბეები, რომლებიც მსოფლიოზე, საქართველოს ღირსებას დაიცავენ:

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი, შალვა მამუკაშვილი, თენგიზ ზამთარაძე, ნოდარ ჭეიშვილი, მიხეილ გაჩეჩილაძე, ლუკა ივანიშვილი (ყველა „შავი ლომი“), გურამ გოჩაშვილი („რასინგ-92“), ნიკა აბულაძე („ექსეთერ ჩიფსი“), ლუკა ნიორაძე („ორიაკი“), ბექა გიგიაშვილი („ტულონი“), გურამ პაპიძე, ბექა გორგაძე (ორივე „პო“), ლუკა ჯაფარიძე („მონპელიე“), კოტე მიქაუტაძე („ბეიონი“), ლაშა ჯაიანი, ლადო ჩაჩანიძე (ორივე „ნევერი“), ბექა საღინაძე („ლიონი“), გიორგი ცუცქირიძე („სტად ფრანსე“), თორნიკე ჯალაღონია („ბიარიცი“);

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე („ბრივი“), გელა აფრასიძე („ბეიონი“), თენგიზ პერანიძე, ლუკა მატკავა, მერაბ შარიქაძე, თორნიკე კახოიძე, დემურ თაფლაძე, აკაკი ტაბუცაძე, ალექსანდრე თოდუა, მირიან მოდებაძე, ლაშა ხმალაძე (ყველა „შავი ლომი“), თედო აბჟანდაძე („მონტობანი“), გიორგი კვესელაძე („გლოსთერი“), დავით ნინიაშვილი („ლიონი“).

„ДИАЛОГИ“ ЭММАКТАН

მე-4 გვერდიდან

სამაგიეროდ, უპორტფელოდ დარჩენილმა ზურაბიშვილმა ინტერვიუში, რომელიც ერთ-ერთ ქართულ გამოცემას 2005 წლის პირველ დეკადაში მისცა, გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი პრემიერი გაიხსენა და მიანიშნა, რომ მის წინაღმდეგ „შავ პიარს“, თითქოს, ცხონებული ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობდა:

„ჟვანიასთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა მქონდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს წინააღმდეგ დაწყებული კრიტიკა ჟვანიამდე მიდიოდა. სხვათა შორის, მისგან ისიც ვიცოდი, რომ პრეზიდენტს ჩემი გაშვება მოსთხოვა, ამ გუნდში არ ჯდებაო. ისე, ბოლომდე ვერ გავარკვიე, ხელს რაში ვუშლიდი... მოკლედ, იანვრის შუა რიცხვებში ერთმანეთს შევხვდით, საკმაოდ ღია საუბარი გვქონდა და შევთანხმდით, რომ დაძაბულობა უკან დაგვეტოვებინა და ერთად მუშაობა დაგვეწყო.

– „ერთად მუშაობის დაწყება“ რას ნიშნავდა?

– იმ მომენტში დავიჯერე, რომ საქართველოსთვის ევროინტეგრაცია და ნატო-ში გაერთიანება მართლა პრიორიტეტები იყო, საამისოდ კი სამოქმედო გეგმის მომზადება იყო საჭირო. სხვათა შორის, ამის მერე შევამჩნიე, რომ როცა საშუალება ჰქონდა, ზურა ჟვანია ყოველთვის ამბობდა, ნახეთ, საგარეო საქმეთა მინისტრი რა კარგად მუშაობსო. მოკლედ, რა სიტყვაც მომცა, შეასრულა.

ამის შემდეგ გავიდა ორი კვირა თუ ორკვირანახევარი და მისი გარდაცვალება რომ გავიგე, ძალიან დიდი სინანულის გრძნობა გამიჩნდა, რადგან ის საქმე, რა ზეც შევთანმხდით, ბოლომდე ვერ მივიყვანეთ და ჩვენგან, შეიძლება, კარგი ტანდემიც გამოსულიყო. ახლა, თუ ისევ გარედან შეფასებაზე გადავალთ, ფაქტია, ჟვანიას გარდაცვალების მერე, რაღაც ბალანსი დაირღვა, რომელიც პრეზიდენტსა და პრემიერს შორის არსებობდა. ორივეს თავისი როლი ჰქონდა და ეს ბალანსი მერე ვერ შენარჩუნდა, რადგან ნოღაიდელი რამის დამბალანსებელი კი არა, უფრო შემსრულებელია. ბალანსი აუცილებელია, მაგრამ დღეს ეს არ არსებობს ანუ პრეზიდნეტი და პარლამენტი ერთად არიან, პრემიერი კი არ ითვლება.

– თქვენი საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვიღაცებს თქვენი და ჟვანიას ტანდემის შეეშინდათ. ყოველ შემთხვევაში, თქვენი გადაყენება ზემოხსენებულ ლოგიკაში რაღაცნაირად ჯდება...

– არ ვიცი... ეს თქვენი დასკვნებია... ისე, ასეთი პარალელები ყოველთვის მაცდურია, რადგან ნამეტანი ლოგიკური და ბევრის მთქმელია. მოკლედ, პარალელებს ვერიდები“...

სალომე ზურაბიშილს, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, თავის დროზე, გარკვეულ ნეპოტიზმშიც ადანაშაულებდნენ და ამბობდნენ, რომ საგარეო უწყებაში, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე შვილებისა და ოჯახის ახლობლები დანიშნა. ამ მხრივ კი ყველაზე მეტად პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე აქტიურობდა, რომელიც აცხადებდა:

„ზურაბიშვილის მინისტრად მოსვლის პერიოდში, საგარეო საქმეთა სამინისტროში 25 ძალიან ნიჭიერი ახალგაზდრა მუშაობდა, რომელთაც ზურაბიშვილი სულ რამდენიმე დღეში დაერია და ქუჩაში გაყარა, მათ ნაცვლად კი საეჭვო პროფესიის მქონე ადამიანებით დააკომპლექტა სამინისტრო. ამის შემდეგ, ზურაბიშვილი საელჩოებს დაერია. მან ყოველგვარი დიპლომატიური ტაქტის გარეშე გამოაძევა ალექსანდრე ჩიკვაიძე, რომელიც ზურაბიშვილზე ცოდნით ათჯერ მაღლა იდგა და, საერთოდაც, ნომერ პირველი დიპლომატი იყო“.

ერთი სიტყვით, სალომე ზურაბიშვილის მხოლოდ პოლიტიკური კი არა, პირადი ბიოგრაფიაც ერთობ მრავალფეროვანი და, გარკვეუწილად, იდუმალიცაა. ყოველ შემთხვევაში, დღემდე გაუგებარია, რატომ გაუჩნდა განვითარებული საფრანგეთის მოქალაქეს სურვილი, რომ განვითარებად საქართველოში პოლიტიკური თანამდებობა მიეღო? იყო თუ არა ეს დიდი პოლიტიკური თამაშის შემადგენელი ნაწილი? – ამ კითხვაზე პასუხს ჩვენ, რიგთი მოკვდავნი, ალბათ, ვერასოდეს მივიღებთ. თავად ზურაბიშვილი კი ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში აცხადებს:

„პოლიტიკაში მოსვლა არასდროს მდომებია... სააკაშვილმა რომ შემომთავაზა, ბევრი ვიუარე და ვეხვეწე, თანახმა ვარ დახმარებაზე, მაგრამ სჯობს, მინისტრის ან პრეზიდენტის დიპლომატიური მრჩევლის ადგილზე დამნიშნოთ-მეთქი. იპოდრომის მერეც, რომელიც თავისით მოეწყო, არ ვაპირებდი პოლიტიკაში გადასვლას და შევქმენი საზოგადოებრივი მოძრაობა. პარტიად გარდავიქმენით მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა სხვანაირად არ შეიძლებოდა.

... მე და ჩემი მეუღლე რომ დავშორდით, დიპლომატიური მისიით აფრიკაში, ჩადში წავედი. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ღარიბი ქვეყანაა. მე და ჩემი შვილები იქ სამი წელი ვცხოვრობდით. მაშინ იქ ომიც იყო. ქუჩები, ფაქტობრივად, არ არსებობდა, ქვიშა იყო ყველგან.

იქიდან რომ დავბრუნდი, მერე გავყევი ჯანრის. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში უდიდესი სიყვარული. დიდი ტკივილის მიუხედავად, მაინც ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ადამიანის გვერდით ვცხოვრობდი. ის მხოლოდ მეუღლე კი არა, ჩემი უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი იყო... საერთო შვილი არ გვყავს, მაგრამ მის შვილებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, სულ ვამბობდით, რომ გაფართოებული ოჯახი გვქონდა... მის გარეშე ცხოვრება ძალიან გამიჭირდა. წიგნში – „საქართველოს ტრაგედია 2003-2008“, რომელიც დავწერე, ყველაფერზეა ლაპარაკი, რაც 2003-დან 2008 წლამდე ხდებოდა. აქედან რუსეთი რას გამოიყენებს და რას – არა, არ ვიცი. ტალიავინის ანგარიშიც სათავისოდ გამოიყენეს რუსებმა და სააკაშვილმა. მიშამ თქვა, მე გამამართლესო, რუსებმა კი, ეს დასკვნა ჩვენთვის სასარგებლოაო. ასე რომ, იმის მიხედვით, ვინ როგორ წაიკითხავს, ნებისმიერი ტექსტის გამოყენება შეიძლება. ჩემს სიტყვებზე პასუხს ვაგებ, რაც იმ წიგნში აღვწერე, სრული სიმართლეა. ეს არის ის, რაც გავიარე, ვიფიქრე და ვნახე ხელისუფლებაში ყოფნისას. არგუმენტი – სიმართლის თქმა არ შეიძლება, რადგან შეიძლება, მტერმა გამოიყენოსო, ჩემთვის მიუღებელია. სიმართლე იმისთვის გვჭირდება, რომ შეცდომები გავითვალისწინოთ და მომავალში აღარ გავიმეოროთ.

– მაგრამ ხელისუფლება აცხადებს, რომ თქვენს წიგნში მოხვდა საიდუმლო ინფორმაციაც.

– არ ვიცი, რას მედავებიან. წიგნში ვწერ 2004 წელზე, როდესაც ცხინვალზე პირველი შეტევა იყო. ესეც რუსების პროვოცირებული იყო და მაშინაც გაიყო მთავრობაში აზრი. ნაწილს მიაჩნდა, რომ შეიძლებოდა ცხინვალის პრობლემის სწრაფი ოპერაციით გადაჭრა, მეორე ნაწილს (რომელშიც მეც ვიყავი) კი მიაჩნდა, რომ ეს სახიფათოა. ვამბობდით, რომ შესაძლოა, ლოკალურად რაღაც მოვიგოთ, მაგრამ საერთაშორისო მხარდაჭერას დავკარგავთ. ამ საკითხზე გადაწყვეტილება ჩემი თანდასწრებით არც მიღებულა, რადგან ასეთი საკითხების გადაწყვეტა უშიშროების საბჭოზე კი არა, სხვა დონეზე ხდებოდა.

– სად და ვინ იღებდა გადაწყვეტილებებს?

– არავინ იცის. ჩვენ ხომ რეალურად არ გაგვაჩნია უშიშროების საბჭო. დღესაც საბჭოს სხდომაზე პატიჟებენ ოპოზიციონერებს, რომლებიც გუშინ, ჩემსავით, რუსეთის აგენტებად იყვნენ მონათლული. მათ სხდომაზე იწვევენ, მაგრამ საჭიროდ არ მიაჩნიათ, ან ბოდიში მოუხადონ, ან საქმეები შეწყვიტონ მათზე. რა უშიშროების საბჭოა ის, რომელიც კამერების წინ ტარდება?

დღეს სიმართლე ოპოზიციასაც სჭირდება. ოპოზიციამ თუ არ დაინახა, სად რა შეგვეშალა, რა საფრთხე გვემუქრება და შელამაზებული სურათით ვიმსჯელეთ, რომელიც რეალობასთან ახლოსაც არ არის, ვერაფერს მივაღწევთ. ასევეა ქვეყანაც. გვინდა, საქართველო გამოვიდეს უმძიმესი კრიზისიდან? გვინდა, რომ სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობის აღდგენის შანსი გაჩნდეს? გგონიათ, ეს სიმართლის გარეშე მოხდება? თუ ოსებსა და აფხაზებს ვეტყვით, ყველაფერში მართალი ვიყავითო, გგონიათ მოხერხდება ჩვენი ურთიერთობა?

– მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრა სეპარატისტ ლიდერებთან ლამის დანაშაულად და ქვეყნის ღალატად ცხადდება.

– თავი დაანებონ მოღალატეებსა და უცხოეთის აგენტებზე ლაპარაკს. დემოკრატიულ ქვეყნებში აგენტებზე არავინ ლაპარაკობს. ეს ტოტალიტარული რეჟიმების ხელწერაა. სააკაშვილს ვურჩევდი, თავი დაანებოს ამ თემებზე ლაპარაკს, რომელიც ბრალმდებელზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ადრესატზე. რუსული ბაზები ჩემი მინისტრობის დროს გავიდა საქართველოდან და სააკაშვილმა ისევ დააბრუნა. აქედან გამომდინარე, ვინ არის ჩვენ შორის რუსეთის აგენტი?“

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: სალომე ზურაბიშვილს გაპრეზიდენტების სურვილი 2013 წელსაც ჰქონდა. როგორც მაშინდელი მედია იუწყებოდა, ის „ქართული ოცნების“ ლიდერებს კონსპირაციუდლად შეხვდა და შესთავაზა, ჩემზე კარგ კანდიდატს ვერ იპოვით და პრეზიდენტად „დამნიშნეთო“, მაგრამ სალომეს ოცნება მაშინ არ ახდა...

ზურაბიშვილი, როგორც ამბობენ, მიზნის მისაღწევად ყველაფერზე წამსვლელია. ამას ისიც მოწმობს, რომ თავის დროზე, თურმე, მზად იყო, რომ ვანო მერაბიშვილის მოადგილე გამხდარიყო.

„პირადად მისთვის არ შეუთავაზებია მერაბიშვილს მოადგილეობა, თავად მოინდომა ამ პოსტის დაკავება. მინისტრობიდან რომ გადადგა, ქალბატონი სალომე ოპოზიციაში წავიდა. 2009 წელს, ისიც გაერთიანებული ოპოზიციის გვერდით იდგა. ოპოზიციამ მაშინ მძლავრი საპროტესტო ტალღა ააგორა. მაშინდელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი შეხვდა ოპოზიციის ლიდერებს და განაცხადა, რომ მზად იყო, ერთ-ერთი მათგანი თავის მოადგილედ დაენიშნა. ოპოზიციონერმა ლიდერებმა ეს შეთავაზება შეურაცხყოფად მიიღეს და თქვეს, რომ ამ პოსტის დაკავება სამარცხვინო საქციელი იქნებოდა. მათგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა სალომე ზურაბიშვილმა და დათანხმდა სისხლიანი ვანო მერაბიშვილის მოადგილეობას.

– ეს კი დათანხმდა, მაგრამ იმათ ხომ არ დაუნიშნავთ?

– ნაცები არც აპირებდნენ შს მინისტრის მოადგილედ ოპოზიციონერის დანიშვნას. შეთავაზება ოპოზიციის გამოსაცდელად გაკეთდა მხოლოდ.

არის ასეთი ქართული ანდაზა – ბავშვს ჰკითხეს, რატომ ტირიხარ, გამდის და ვტირივარო. ასე არის ეს ქალიც. ჯერ სააკაშვილის დროს გასდიოდა, რაც უნდოდა და ახლაც გასდის ყველაფერი. ამ ეტაპზე, თავს შევიკავებ იმ პირობებზე საუბრისგან, რაც მან იმის სანაცვლოდ დააყენა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად წარადგენდა თავს. სხვათა შორის, ისიც ვიცით, რა მოითხოვა, როცა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა ამოეწურება.

– იცით, მაგრამ არ იტყვით.

– მოვა დრო და ვიტყვი, ახლა ამის თქმა საჭიროდ არ მიმაჩნია. სიმართლე რომ გითხრათ, არც მაინტერესებს. ეს ამბავი იმას მოვაყოლე, რომ ამ ქალს ჯერჯერობით გასდის, რაც უნდა“, – აცხადებს ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში სამცხე-ჯავახეთის ყოფილი გუბერნატორი, გიგლა ბარამიძე.

ერთი სიტყვით, ასეთია სალომე ზურაბიშვილის მოკლე დოსიე. სხვათა შორის, ქართველი ტელეჟურნალისტები პირად საუბრებში აღნიშნავენ, დაბალანსებულ სიუჟეტებს ვერ ვაკეთებთ, რადგან ზურაბიშვილის მხარდამჭერების პოვნა ძალიან გვიჭირსო. ამასთან, თუ ზურაბიშვილის „ფეისბუკგვერდზე“ შეიხედავთ, ნახავთ, რომ მის მიერ გაზიარებულ ვიდეოებსა თუ სტატუსებს არცთუ ბევრი ნახვა და „ლაიქი“ აქვს. შეიძლება, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ გარკვეულ ტენდენციას მაინც აჩვენებს...

ჩემპიონატი წარმოსახვით გიტარაზე დაკვრაში

ფინეთში, ქალაქ ოულუში, უჩვეულო ჩემპიონატი იმართება. მისი მონაწილეები ერთმანეთს წარმოსახვით გიტარაზე დაკვრაში ეჯიბრებიან. წლევანდელ „შერკინებაში“ მსოფლიო ჩემპიონი იაპონელი ნანამი შევენ შეას ნაგურა გახდა. მან ყველაზე მეტი – 35.8 ქულა დააგროვა. ნაგურა შეჯიბრში 2014 წლიდან ჩაერთო და წელს, უკვე მესამედ იასპარეზა. ჩემპიონატი ყოველწლიურია, რომლის მონაწილეები გიტარაზე დამკვრელების მოძრაობების იმიტირებას ახდენენ და წარმოსახვით ინსტრუმენტზე „უკრავენ“. კონკურსი ორ-ეტაპიანია – პირველი ეტაპის მონაწილეები წინასწარ მომზადებულ კომპოზიციებს „უკრავენ“, მეორე ეტაპზე კი „იმპროვიზაცია“ უწევთ. პირველად, ეს უჩვეულო ჩემპიონატი, 1996 წელს გაიმართა.

ჰოლი ბერი ალიმენტს გადაიხდის

ჰოლივუდის ვარსკვლავმა ჰოლი ბერიმ, როგორც იქნა, დაასრულა რვაწლიანი განქორწინების პროცესი ფრანგ მსახიობ ოლივიე მარტინესთან. წყვილმა შეინარჩუნა ერთობლივი მზრუნველობა ვაჟიშვილზე, რის გამოც, ჰოლივუდის ვარსკვლავ ბერის მოუწევს, ყოფილ მეუღლეს, ალიმენტის სახით, ყოველთვიურად, რვა ათასი დოლარი გადაუხადოს. გარდა ამისა, ჟურნალ People-ს ინფორმაციით, ჰოლი ვალდებულია, მარტინესს 4.3% გადაუხადოს მისი ნებისმიერი შემოსავლიდან, რაც თითქმის ორ მილიონ დოლარზე მეტი გამოდის და ასევე, გაიღოს ყველა ხარჯი შვილის სწავლისთვის. შავკანიანმა მსახიობმა ჰოლი ბერიმ პოპულარობა ფილმის – „იქს-ადამიანების“ შემდეგ მოიპოვა. ის „ბონდიანაშიც“ მონაწილეობდა, ხოლო ფილმ „მონსტრების მეჯლისში“ შესრულებული როლისთვის კი „ოსკარიც“ დაიმსახურა.

ლოკოკინებით მილიონებს შოულობს



გერმანიაში მცხოვრები ქალბატონი გიგანტური ლოკოკინების მოშენებითაა დაკავებული და ამ ბიზნესით მილიონობით დოლარს შოულობს. მიუნხენელი კრის ბაკლი ლოკოკინებით მაშინ დაინტერესდა, როცა მისი ვაჟი ავადმყოფობდა და უვლიდა. იმის გამო, რომ ბავშვს მუდმივი მოვლა სჭირდებოდა, კრისმა სამსახური მიატოვა. ერთადერთი შემოსავალი, რაც მაშინ მის ოჯახს ჰქონდა, სოციალური დახმარება და ადგილობრივი ეკლესიიდან მიღებული სურსათი იყო. მცირე კვლევების ჩატარების შემდეგ, ქალმა 60 დოლარად შინაური, აფრიკული ლოკოკინა იყიდა. სულ მალე, სოციალურ ქსელში გაჩნდა მისი ვიდეოები „აღსაზრდელთან“ ერთად და მომხმარებლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ასეთი შინაური ცხოველის ყოლა სხვებსაც მოუნდათ და კრისმა მათი მოშენება და გაყიდვა გადაწყვიტა. საქმე იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ოჯახი უმალ ფეხზე დადგა. ქალის თქმით, აფრიკული ლოკოკინების რეალიზაციით, წელიწადში, მილიონობით დოლარს შოულობს, მის ფერმაში კი ამჟამად, 5 ათასზე მეტი მოლუსკი ცხოვრობს, რომლებსაც სამი თანამშრომელი უვლის.

საბავშვიო ბაღი ზრდასრულებისთვის

ნისლიან ალბიონზე, ედინბურგში, ახალი საბავშვო ბაღი – Big Kid Kindergarden გაიხსნა (დიდი ბავშვების საბავშვო ბაღი), სადაც 16 წელს გადაცილებულ ადამიანებს ბავშვობაში დაბრუნების შესაძლებლობა ეძლევათ. ბაღის სტუმრებს, სულ რაღაც 10 გირვანქა სტერლინგად, შეუძლიათ, ბაღში მთელი დღე ითამაშონ – ააწყონ კონსტრუქტორები, მოუსმინონ ზრაპრებს და ქვიშაში გაერთონ. მსურველებისთვის ბაღის გაკვეთილებზე ონლაინ-დასწრებაც შესაძლებელია. პროექტის ორგანიზატორი და აღმზრდელი ქალბატონი სოლეია, რომელიც შვიდი წელია, სკოლამდელ დაწესებულებაში მუშაობს. მისი თქმით, ბავშვებისთვის ბევრი წრე და საზაფხულო ბანაკებია, უფროსები კი ამ ყველაფერს მოკლებულნი არიან და ეს ბაღიც ამ ვითარების გამოსასწორებლად გაიხსნა. შოტლანდიის დედაქალაქში დიდების საბავშვო ბაღი აგვისტოში მუშაობდა, სექტემბერში პროექტი ავსტრიაში, კერძოდ, ვენაში გადაინაცვლებს, ოქტომბერსა და ნოემბერში ბაღში წასვლას ესპანელ ზრდასრულებიც შეძლებენ, მომავალი წლიდან კი მათ ამერიკელებიც შეუერთდებიან.

კრუიზს კატებისთვის აწყობენ

სინგაპურში, მხოლოდ კატებისა და მათი მფლობელებისთვის, სპეციალური საზღვაო კრუიზები ამოქმედდა. შინაური ცხოველები და მათი პატრონები 47-მეტრიანი ხომალდის ბორტზე მიიწვიეს, რომელიც კუნძულ სენტოზას გარშემო იმოძრავებს. გემზე კატებისთვის სპეციალური სათამაშო ზონები და წამოსაწოლი ადგილებია გათვალისწინებული. ადამიანებისთვის კი შემუშავებულია პროგრამა ვახშმით, ფოიერვერკებითა და მსახიობების გამოსვლებით. საკრუიზო გემის ბორტზე მოსახვედრად ერთადერთი პირობა უნდა დააკმაყოფილოთ – აცრილი კატები უნდა გყავდეთ. გარდა ამისა, ბორტზე არასტერილიზებულ ცხოველებსაც არ დაუშვებენ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ, სინგაპურში მსგავსი კრუიზები უკვე მოეწყო, ოღონდ, ის ძაღლებზე იყო გათვლილი. კრუიზები საკმაოდ პოპულარული იყო, ამიტომ ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, წარმატებული გამოცდილება ამჯერად კატებისთვის გაიმეორონ.

პიკნიკი უფსკრულის პირას

ერთ-ერთი ბრაზილიური ფირმა, ექსტრემის მოყვარულებს, შესაძლებლობას აძლევს, პიკნიკი მოაწყონ მაგიდასთან, რომელიც კასკატა-და-სეპულტურას ჩანჩქერზეა გადმოკიდებული. ეს უნიკალური მომსახურება პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც ამერიკელი წყვილის ვიდეო გავრცელდა. მათ „რაღაც განსაკუთრებულის“ მოსინჯვა სურდათ, ორივე ტურისტი უსაფრთხოების ქამრებით იყვნენ დაბმულნი და ჩანჩქერის თავზე უსხდნენ მაგიდას. ეს უჩვეულო და საშიში პიკნიკი სულ 15 წუთს გრძელდება და მისი ღირებულება 450 დოლარია.

ფერმერები შიშველი ქალების შემოსევაზე ჩივიან

ინგლისში, აგროტურისტული კომპანიების მფლობელები შიშველი მანდილოსნების შემოსევაზე ჩივიან, რომლებიც მზესუმზირების მინდვრებში ფოტოსესიებს აწყობენ. ჰემპშირის საგრაფოში მდებარე ფერმის მფლობელებმა დაწერეს, რომ შიშველი ფოტოების გადაღების მოყვარულებმა „დაატერორეს“ მათი მეურნეობა. ფერმერების თქმით, მზესუმზირის ყვავილობის პერიოდში, მათთან სუსტი სქესის წარმომადგენელთა უზარმაზარი რაოდენობა ჩადის. „ეს ჩვენი ოჯახური ტერიტორიაა, გთხოვთ, ნუ გაშიშვლდებით ყანაში“, – მიმართავენ ინგლისელი ფერმერები ფოტოსესიის მოყვარულ ქალბატონებს.

ულაქებო ჟირაფი დაიბადა

აშშ-ში, ტენესის შტატში მდებარე ზოოპარკის დამთვალიერებლები ცხოველთა სამყაროს ერთ-ერთი უიშვიათესი მოვლენის ხილვას შეძლებენ. როგორც New York Post-ი წერს, ზოოპარკში, ივლისის ბოლოს, პატარა ჟირაფი დაიბადა, რომლისთვისაც ჯერ სახელიც არ დაურქმევიათ. უჩვეულო კი ის არის, რომ მდედრობითი სქესის პატარა ცხოველს ჟირაფებისთვის დამახასიათებელი ლაქები არ აქვს, ის მთლიანად ყავისფერია. სპეციალისტების თქმით, ის ერთადერთი, ერთგვაროვანი ყავისფერი ჟირაფია მთელ მსოფლიოში. ახალშობილი ცხოველი ბადისებრი ჟირაფია, რომელიც გადაშენების პირას მყოფი სახეობაა და ის 2018 წელს, ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის წითელ ნუსხაში შეიტანეს.

დაბინძურებულ წყალს ჰიდროგელით გაწმენდენ

ამერიკელმა სწავლულებმა ტეხასის უნივერსიტეტიდან ჰიდროგელის ტაბლეტები შექმნეს, რომელსაც დაბინძურებული წყლის სწრაფად გაწმენდა შეუძლია. ამ აბს ერთ საათში შეუძლია, ერთი ლიტრი მდინარის წყლის დეზინფიცირება და ის სასმელად ვარგისი იქნება. წყლის გაწმენდის ძირითად მეთოდებთან შედარებით, როგორიცაა მისი ადუღება და პასტერიზაცია, რაც თავის მხრივ, ენერგიასა და დროს მოითხოვს, ჰიდროგელის შექმნა არ საჭიროებს ენერგოხარჯებს და არ გამოყოფს მავნე პროდუქტებს. ჰიდროგელები წარმოქმნის წყალბადის ზეჟანგს ბაქტერიების ნეიტრალიზაციისთვის, რასაც 99.999%-იანი ეფექტიანობით ახერხებს. წყალბადის ზეჟანგი ზემოქმედებს აქტივირებულ ნახშირთან, რათა შეუტიოს ბაქტერიების ძირითად უჯრედულ კომპონენტებს და დაარღვიოს მათი მეტაბოლიზმი. მკვლევართა მოსაზრებით, ჰიდროგელის დასამზადებლად საჭირო მასალა იაფია, სინთეზის პროცესი კი უმარტივესი, ის თავისუფლად შეიძლება გამოიყენონ დიდ მასშტაბებში.

ბორტგამცილებლებს ჭაღარა აუკრძალეს

ავიაკომპანია Air India-მ საკუთარ ბორტგამცილებლებს ჭაღარა თმა და სიმელოტე აუკრძალა. როგორც ბრიტანული მედია წერს, ავიაკომპანიამ ახალი მკაცრი წესების შემოღება გადაწყვიტა – Air India-ს თანამშრომლებს არ შეიძლება ჰქონდეთ ჭაღარა თმა, სიმელოტე, ყოველდღიური ტანსაცმელი მაშინაც კი, თუ ისინი პერონალის კი არა, მგზავრების რანგში მიფრინავენ, – ახალი მოთხოვნების სიას გამოცემა აქვეყნებს. ამ მოთხოვნების დასაცავად, ავიაკომპანია საკუთარ თანამშრომლებს ურჩევს, რეგულარულად შეიღებონ თმა ნატურალ ფერზე (მოდურ ფერებსა და ინით შეღებვაზეც აკრძალვაა). იმ თანამშრომლებს კი, რომლებსაც თმა ნელ-ნელა უთხელდებათ, ხშირ-ხშირად თავის გადაპარსვა მოუწევთ.

სახლში ცხრა კონდიციონერი დააყენა

სინგაპურში, ერთ-ერთი სახლის მცხოვრებლებმა მეზობელს უჩივლეს, რომელმაც საკუთარ ბინაში ცხრა კონდიციონერი დააყენა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, ამის გამო, ადამიანებს ობთან ბრძოლა უწევთ, რაც დიდი რაოდენობის კონდენსატის ფონზე ჩნდება. მამაკაცის ბინაში ტემპერატურა მუდმივად 18 გრადუსია – ეს ხდება იმის მიზეზი, რომ მეზობელ ბინებში, კედლებზე, კონდენსატი წარმოიქმნება, რის შემდეგაც შავი ობი ჩნდება. კონდიციონერების პატრონი, 63 წლის პენსიონერია, რომელიც აცხადებს, რომ სახლში გრილი და მუდმივი ტემპერატურა მას იმუნიტეტის გაკაჟებაში ეხმარება.

ფულს თაგვების „ნახატებით“ შოულობს



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა, 21 წლის სტეფ ტუგუდმა შემოსავლის მიღების უჩვეულო მეთოდი მოიფიქრა. გოგონამ შინაურ ცხოველებს – თაგვებს ფურცელზე ხატვა ასწავლა. მღრღნელების თათებს ის საღებავში ყოფს და ცხოველებს ფურცელზე „გასასეირნებლად“ უშვებს. მიღებული შედეგრები საკმაოდ პოპულარული გახდა სოციალურ ქსელში და უამრავმა ადამიანმა, არა მარტო ბრიტანელებმა, გამოთქვა ამ უჩვეულო ნახატების შეძენის სურვილი. ამჟამად, სტეფსა და მის საყვარელ ცხოველებს საკუთარი მაღაზიაც აქვთ, სადაც არა მარტო ნახატების, არამედ, სუვენირების შეძენაც შეიძლება.

სასტუმრო კლაუსტროფებისთვის

მეორე მსოფლიო ომის დროს, საფრანგეთის ჩრდილოეთით, ბრეტანში, გერმანელი სამხედროების მიერ აშენებული ბუნკერი შეარემონტეს და ის მიწისქვეშა სასტუმროდ აქციეს. ენთუზიასტმა სერჟ კოლიუმ 1940 წელს აშენებული ბუნკერის გარშემო მდებარე მიწის ნაკვეთი შეიძინა, ამის შემდეგ, წელიწადნახევრის განმავლობაში, ქვიშისგან გაასუფთავა და გაარემონტა. შედეგად, მშვენიერი სასტუმრო-სახლი გამოვიდა, რომელსაც ერთდროულად 20 ადამიანის მიღება შეუძლია. სერჟმა მიწისქვეშა სასტუმროში ეპოქის ატმოსფერო შეინარჩუნა, რისთვისაც ინტერიერი იმ დროის ატრიბუტიკით შეავსო. ექვს მოგზაურს, ბუნკერ-სასტუმროში ღამის გათევა 375 დოლარი დაუჯდება.

ნახშირწყლები უძილობას იწვევენ

ძილის სურვილი გაგიქრებათ, თუ თქვენს რაციონში ბევრი ისეთი პროდუქტია, რომლებიც რაფინირებულ ნახშირწყლებს შეიცავენ, – განაცხადეს სწავლულებმა, კოლუმბიის უნივერსიტეტიდან. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ასეთი ნახშირწყლების, მაგალითად, ნაცხვრების, თეთრი პურის, კარტოფილისა და ბრინჯის რეგულარული მოხმარება სისხლში შაქრის დონის მატების რისკს ზრდის. როცა შაქრის დონე სწრაფად იზრდება, ამაზე ორგანიზმი რეაგირებს და ინსულინს გამოჰყოფს. შაქრის დონის დაქვეითება კი ისეთი ჰორმონების გამოტყორცნას იწვევს, როგორებიცაა კორტიზოლი და ადრენალინი. ეს ჰორმონები ძილის დარღვევას იწვევენ. ამ დასკვნების გასაკეთებლად, მკვლევარებმა 50 ათასზე მეტი მანდილოსნის მონაცემები გააანალიზეს. სწავლულების ვარაუდით, კვლევების შედეგები მედიკოსებს დაეხმარება, რომ პაციენტების უძილობისგან განსაკურნად უფრო ხელმისაწვდომი და ეფექტიანი მეთოდები მოძებნონ.

კვერცხის შემცვლელი ლუდის ნარჩენებისგან

სწავლულთა ჯგუფმა სინგაპურის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან უჩვეულო გამოყენება მოუძებნა ლუდის წარმოების ნარჩენებს. მკვლევარებმა მის საფუძველზე მცენარეული ემულგატორი შექმნეს, რომელიც მაიონეზსა და ნაყინში კვერცხის გულს ჩაანაცვლებს. ემულგატორები პროდუქტს ერთგვაროვანი მასის შენრჩუნებაში ეხმარებიან და არ აძლევენ საშუალებას, რამდენიმე სითხედ გაიშალონ. მაგალითად, ზეთი და წყალი გამოიყოს მაიონეზში, ან სხვა სოუსებში. ჩვეულებისამებრ, სტაბილიზატორად კვერცხის გულს იყენებენ, თუმცა სწავლულებმა მას უსაფრთხო, მცენარეული შემცვლელი მოუძებნეს. ამისთვის მათ ლუდის ხარშვისთვის გამოყენებული მარცვლეული აიღეს – ყოველწლიურად, მსოფლიოში 39 მილიონი ტონა ასეთი ნარჩენი იყრება ნაგავში და ატმოსფეროს აბინძურებს. სპეციალისტებმა კი მისგან, ახალი ტექნოლოგიის წყალობით, მცენარეული ემულგატორი მიიღეს, რომელიც გემობრივი თვისებებით არ ჩამოუვარდება ჩვულებრივს. მის გამოყენებას ნაღების ნაყინისა და სოიოს რძის წარმოებაში აპირებენ.

დაბერების მთავარი მიზეზი ცხიმია?

შვეიცარიელმა სპეციალისტებმა ბერნის უნივერსიტეტიდან განაცხადეს, რომ ვისცერალური ცხიმი ორგანიზმის დაბერების მთავარი მიზეზია. აღვნიშნავთ, რომ ეს ცხიმი ადამიანის მუცლის ღრუში მდებარეობს. მისი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ ის ხელს უწყობს მსუბუქ ქრონიკულ ანთებას. თავის მხრივ, ცხიმი აჩქარებს ასაკობრივ დაავადებებს და ასუსტებს იმუნიტეტს. კერძოდ, საუბარია ლეიკოციტებსა და ეოზინოფილებზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სისხლძარღვთა სისტემაში მდებარეობენ, ვისცერალურ ცხიმოვან ქსოვილებშიც აღმოაჩინეს. ასაკთან ერთად, ასეთი უჯრედების რაოდენობა მცირდება, ანთებისსაწინააღმდეგო მაკროფაგებისა კი პირიქით – მხოლოდ იზრდება. შედეგად, წარმოიქმნება დისბალანსი მუცლის ღრუში და ასეთი პროცესის გამო, ორგანიზმი სწრაფად ბერდება. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდა ორგანიზმიდან ეოზინოფილების გადანერგვა ამ პროცესს შეაჩერებდა.

მარილი იმუნურ სისტემას აქვეითებს

შესაძლოა, მარილის ჭარბმა მოხმარებამ გამოიწვიოს არა მხოლოდ სისხლის წნევის კრიტიკული მატება, ან ინფარქტისა და ინსულტის რისკის ზრდა, არამედ, ის შეიძლება იმუნიტეტის დაქვეითების მიზეზიც გახდეს, – გვაფრთხილებენ გერმანელი სწავლულები, ბონის უნივერსიტეტიდან. კვლევებისას, მოხალისეები, გარდა ჩვეულო მოხმარებისა, დამატებით კიდევ 6 გრამ მარილს იღებდნენ, ყოველდღიურად. დაახლოებით, ამ რაოდენობის მარილს შეიცავს ორი ჰამბურგერი და ორი პორცია კარტოფილი-„ფრი“. უკვე ორი კვირის შემდეგ, ასეთი რაციონის გამო, იმუნური უჯრედები ბაქტერიებს გაცილებით ცუდად უმკლავდებოდნენ. მარილის მომატებულმა რაოდენობამ მკვეთრად გამოხატული იმუნოდეფიციტი გამოიწვია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, დღეში 5 გრამზე მეტი მარილის მიღება სასურველი არ არის.

ანტისტრესული ყურსასმენები შექმნეს

კორეული კომპანია Fuman-ის წარმომადგენლებმა უზარმაზარი ანსტისტრესული ყურსასმენები – Nirvana შექმნეს, რომელიც მუსიკას არანაირად არ უკავშირდება. ერთადერთი ხმა, რომელიც ამ გაჯეტის საშუალებით შეგიძლიათ მოისმინოთ, ეს თეთრი ხმაურია. საქმე ის არის, რომ ყურსასმენებში ყურების მასაჟისთვის საჭირო მილაკებია ჩამონტაჟებული. ეს Nirvana-ს ერთადერთი ფუნქციაა, რომელიც მწარმოებლების თქმით, გაჯეტის მომხმარებელს „დამშვიდებისა და კომფორტის შეგრძნების“ გრანტიას აძლევს. ფირმამ ამ უნიკალური ყურსასმენების შესაქმნელად საჭირო თანხა ინტერნეტ-მომხმარებლების მეშვეობით შეაგროვა და მისი მასობრივი წარმოების დასაწყებად საკმარისი ფული უკვე აქვს. თვის ბოლომდე, ამ ინოვაციური გაჯეტის შეძენა 180 დოლარადაა შესაძლებელი.

კბილის პასტები უსარგებლოა?

პრაქტიკულად, კბილის ყველა პასტა ერთნაირია და არ შეუძლია კბილები დაიცვას მაღალი მგრძნობელობის, ან დაშლისგან, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სპეციალისტები შვეიცარიისა და ბრაზილიის უნივერსიტეტებიდან. სწავლულთა საერთაშორისო ჯგუფმა გამოსაკვლევად აიღო, საკონტროლოდ – ერთი „ჩვეულებრივი“ და რამდენიმე სხვადასხვა სახეობის პასტა, რომლებიც ეროზიისა და კბილების მგრძნობელობისგან დაცვას გვპირდებიან. ექსპერიმენტებისას, წმენდის ხუთი ციკლი ჩატარდა ყველაზე უფრო პოპულარული კბილის პასტებით ბრაზილიასა და ევროპაში. აღმოჩნდა, რომ მათგან არცერთი არ იცავს კბილებს კარიესისგან და არ შეუძლია შეაჩეროს კბილის ემალის დაკარგვა. სპეციალისტები გვირჩევენ, სამი ძირითადი წესი დავიცვათ, ემალის გაცვეთა და სხვა პრობლემები რომ თავიდან ავირიდოთ – ეს არის კვების სწორი რეჟიმი, პირის ღრუს კარგი ჰიგიენა და სტომატოლოგთან რეგულარული ვიზიტი.

მზის ენერგიიდან საწვავს მიიღებენ

შვეიცარიულმა კომპანიამ მსოფლიოში პირველი სამრეწველო საწარმოს აშენების შესახებ განაცხადა, რომელიც მზის ენერგიიდან სინთეზ-გაზს მიიღებს. შემდეგ კი მას ნავთად, ან ბენზინად უპრობლემოდ გადაამუშავებენ. სადგური DAWN, ენერგიას ჰელიოსტატების მეშვეობით მიიღებს და მას სინთეზ-გაზად გარდაქმნის. ჯერჯერობით, საწარმოს სიმძლავრე მცირეა – სულ 150 ტონა საწვავი წელიწადში. 2030 წლისთვის, შვეიცარიელები ასეთი ქარხანა-სადგურების ქსელის აშენებას გეგმავენ. ამ შემთხვევაში, წელიწადში 875 ათასი ტონა საწვავის მიღებას შეძლებენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.